ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 3 აგვისტო, 2017 №182 (7417) ფასი: 50 თეთრი

ირაკლი სესიაშვილი: „პენსმა გვითხრა, რომ გამოწვევების წინაშე მარტო არ ვართ“ გვ.2

1 აგვისტოდან

მაია ბურჭულაძე

უფასო ბილეთი წარსულში ორშაბათის სიზმარი

ქართული დეტექტივი მე-15 ტომი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

„ოცნებას“ საპარლამენტო არჩევნები მაჭავარიანმა, გოგორიშვილმა და ბაქრაძემ მოაგებინეს“

ლევან ხაბეიშვილი: „ბოკერია ნამდვილი კოპერფილდია, 03%-იანი რეიტინგი აქვს და 21 მანდატი მოიპოვა“ გვ.3

პანიკა აფხაზეთში

გუდაუთაში თავდაცვის სამინისტროს საწყობი აფეთქდა

გვ.2

გიორგი ვაშაძე: „ხელისუფლებას დათმობაზე წასვლა მოუწევს“

„ოპოზიციას მერობის ერთიანი კანდიდატი უნდა ჰყავდეს“ გვ.4

ვახტანგ მაისაია: „საქართველო ამერიკისა და რუსეთის დაპირისპირების პოლიგონად გადაიქცა“ გვ.4

„ახალი ცივი ომი უკვე დაწყებულია“

ISSN 1987-9385



აფხაზეთში რუსეთის მოქალაქეებზე კიდევ ერთი თავდასხმა მოხდა

დაკარგული ტურისტის ძებნაში ავიაცია ჩაერთო გვ.5

ირაკლი სესიაშვილი: „პენსმა გვითხრა, რომ გამოწვევების წინაშე მარტო არ ვართ“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ამერიკის ვიცეპრეზიდენტ მაიკ პენსის საქართველოში ვიზიტს აფასებს.



– ბატონო ირაკლი, ამერიკის ვიცეპრეზიდენტს რამდენად ძლიერი გზავნილები ჰქონდა, ამ ვიზიტს როგორ შეაჯამებთ?

– არ მახსენდება ასეთი მკაფიო და გამორჩეული მხარდაჭერა ჩვენი ქვეყნის მიმართ ამერიკის შეერთებული შტატებისგან ბოლო პერიოდში. საინტერესო იყო თავად ვიზიტის კონტექსტიც – მონტენეგრო, ბალტიისპირეთი და საქართველო. ჩემთვის ვაანალიზებდი ამ ვიზიტს, რა ახალი გზავნილი მივიღეთ, რა იყო ახალი? ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შემიძლია გითხრათ, რომ ამ ვიზიტით ახალი ეტაპი დაიწყო. ბატონმა პენსმა გამოსვლის დროს სიტყვა „მოკავშირე“ ახსენა. აქამდე ვიყავით სტრატეგიული პარტნიორი. ჩვენი და ამერიკის გეოპოლიტიკური ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა, რაც ახალი არ არის, მაგრამ, მთავარი არის ის, რომ ამ ინტერესებში ჩვენ ვართ მოკავშირეები, ეს პარტნიორობაზე მეტია. ამერიკასა და საქართველოს საერთო ინტერესები აქვთ და ამ ინტერესების დაცვაში ჩვენ ერთად ვართ. შეიძლება ვთქვათ, რომ ამ ვიზიტის ერთ-ერთი მთავარი მნიშვნელოვანი გზავნილი ეს იყო.

– კონკრეტულად რით შეიძლება, ეს მოკავშირეობა გამოიხატოს?

– პირველ რიგში, ცხადია, თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროთი გამოიხატება, თუმცა, აქვე იყო მკაფიო გზავნილი ეკონომიკურ და ბიზნესინტერესებზე. ბატონმა ვიცეპრეზიდენტმა სრულიად ღიად აღნიშნა ბოლო ხუთ წელიწადში მიღწეული პროგრესი. ისაუბრა იმ თანამშრომლობაზე, რომელიც არსებობს ჩვენს ხელისუფლებას, ბატონ კვირიკაშვილსა და თეთრი სახლის ადმინისტრაციას შორის. ამერიკა საქართველოს აღიქვამს, როგორც სტაბილურ ქვეყანას, სადაც დემოკრატიას თავისი საფუძველი და დატვირთვა აქვს, სადაც რეფორმები წარმატებულია. ამერიკამ იცის, რომ საქართველო არის ის ქვეყანა, სადაც ამერიკული პოლიტიკური ინვესტიციების ჩადება ღირს.

– საინტერესოა, რაზე იყო მთავარი აქცენტები შეხვედრებზე?

– ჩვენ მივიღეთ სრული მხარდაჭერა როგორც პოლიტიკურ დონეზე, ისე, მაქვს იმედი, რომ პრაქტიკული მხარდაჭერის ნიშნებიც გამოჩნდება.

– კონკრეტულად რით შეიძლება გამოიხატოს?

– არ მინდა, ამაზე წინასწარ ვისაუბრო. გვაქვს მოლოდინი, რომ ჩვენი ურთიერთობა იქნება მზარდი და პრაგმატული. ზოგადად მსოფლიოში რთული გეოპოლიტიკური მოცემულობაა. ამ ფონზე პირველი ქვეყნის ასეთი გამოხატული, მკაფიო მხარდაჭერა ძალიან ბევრს ნიშნავს ჩვენთვის.

– ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების 20% ოკუპირებულია. რთული გამოწვევების წინაშე ვდგავართ. რამდენად იქნება ამერიკის მხარდაჭერა ამ ფონზე ადეკვატური, ამაზე თუ იყო საუბარი?

– ბატონმა პენსმა პირდაპირ გვითხრა, თქვენ მარტო არ ხართ, ჩვენ ვართ ამ გამოწვევის წინაშე ერთადო და განმარტა, ეს სიტყვები მხოლოდ ჩემი არ არის, ეს არის ამერიკელი ხალხისა და ამერიკის პრეზიდენტის პოზიციაო. ვიცეპრეზიდენტი ამ ვიზიტისთვის ძალიან მაღალ დონეზე იყო მომზადებული, მან იცის, საქართველოსთან მიმართებით მიღებულია გადაწყვეტილება, რომ ამერიკა საქართველოს გვერდით დგას. ეს ვიზიტი იყო ამ პოზიტიური პერსპექტივის გახმოვანება.

– სამხედრო წვრთნებზე მინდა გკითხოთ: შეიძლება ვთქვათ, რომ ეს იყო, ერთი მხრივ, ჩვენი თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისთვის მნიშვნელოვანი ღონისძიება, მეორე მხრივ კი – რუსეთისთვის წითელი ნაჭრის აფრიალება?

– ეს მეტად სერიოზული საკითხია. ჩვენი თავდაცვისუნარიანობის გაზრდა პირდაპირ დაკავშირებულია სწორედ ასეთ წვრთნებთან როგორც ფიზიკურად, ისე მორალური თვალსაზრისით. რას ვგულისხმობ მორალურში: თუ აქამდე ჩვენ ვამბობდით, რომ ამერიკელები გვიწვრთვნიან ჯარს და ა.შ. დღეს ჩვენ ვართ, როგორც ერთი ოჯახი, საბრძოლო ოპერაციას გვერდიგვერდ ვატარებთ, ერთად, ერთმანეთს ვენდობით ბოლომდე. ეს არის სწორედ ერთი ოჯახი. ის სამხედრო წვრთნები, რომელიც დღეს საქართველოში ტარდება, ვიმეორებ, მართლაც უმნიშვნელოვანესია. თქვენ იცით, რომ 1.200 ამერიკელი, გერმანელი, ბრიტანელი, ნატოს წევრი სახელმწიფოების შემადგენლობის ჯარისკაცები, ამერიკული ტექნიკაა ჩამოსული, „აბრაამსი“, „ბრედლი“. ეს წვრთნები შესაძლებლობაა, რომ დავხვეწოთ ჩვენი პროფესიონალიზმი, კიდევ უფრო თავსებადი ვიყოთ ნატოს სტანდარტებთან.

– 8 აგვისტოს, არ არის გამორიცხული, პუტინი აფხაზეთში ჩავიდეს. ექსპერტები ამბობენ, რომ ეს არის პენსის ვიზიტის საპასუხო ვიზიტი პუტინის მხრიდან ოკუპირებულ აფხაზეთში.

– შეიძლება, ასე დავინახოთ, ასეც იყოს. რუსეთი არ მოელოდა ამერიკის ახალი ადმინისტრაციის მხრიდან საქართველოს მიმართ ასეთ გამოკვეთილ მხარდაჭერას. რუსეთს ძალიან ძვირად დაუჯდა ეს ყველაფერი, ეს არის, რომ ძალიან გვიან ხვდება. რაც არ უნდა ქნას პუტინმა, სოხუმში ჩავა თუ არ ჩავა, სურათი შეცვლილია.

– რას გულისხმობთ?

– იმას, რომ ჩვენი თანამოქალაქეები აფხაზეთში რუსებს ოკუპანტებს ეძახიან.

– აფხაზები?

– დიახ, აფხაზები. აქამდე თუ რუსეთი აფხაზების მიერ აღქმული იყო, როგორც დიდი მფარველი, ახლა სურათი რადიკალურად არის შეცვლილი, მიხვდნენ, რომ ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ აფხაზები, როგორც ერი, არ არსებობდნენ, გაქრნენ. ყველაფერი რუსეთმა წაიღო, არაფერი აფხაზებს არ დაუტოვა, ადგილზე მმართველობის თვალსაზრისითაც. მთელი ენერგოსისტემა, რკინიგზა, ვაჭრობა – ყველაფერს მოსკოვი აკონტროლებს. რუსებმა აფხაზებს ყველაფერი წაართვეს. ამას ახლა მიხვდნენ აფხაზები. პუტინი სოხუმში ჩადის არა როგორც მეგობარი, სტუმარი, არამედ, როგორც ოკუპანტი. აფხაზებს რუსები განადგურებისკენ მიაქანებენ. აფხაზეთში აფხაზური გენოფონდი თითქმის იცლება. დემოგრაფიული მდგომარეობა სავალალო დღეშია. ურთულესი ვითარებაა, თუ აქამდე რუსი ტურისტი მაინც ჩადიოდა, ახლა ისინი აღარ ჩადიან, რადგან დავალებაა, ყირიმში უნდა ჩავიდნენ.

„აფხაზები რუსებს ოკუპანტებს ეძახიან“

– ბატონო ირაკლი, რას იტყვით პრეზიდენტ მარგველაშვილის იდეაზე, ამერიკასთან სპეციალური წარმომადგენლის მივლენაზე?

– ზოგადად, ასეთი იდეებით არ იმართება ქვეყნები. ჩვენ გვაქვს ამერიკასთან, მის ახალ ადმინისტრაციასთან ისეთი დონის ურთიერთობა, რომ არ არსებობს მსგავსი საჭიროება. არ გვაქვს არანაირი პრობლემა ურთიერთობებში, არ გვაკლია არანაირი ელემენტი, რომ გვჭირდებოდეს ამ ურთიერთობებში რამის შევსება.

– თენგიზ ფხალაძემ განმარტა, რომ ელჩის სტატუსსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს ფუნქციებს არ დააკნინებს.

– გასაგებია, ყველანაირი ფორმის მოძებნა შეიძლება, მაგრამ, როდესაც ასეთი მაღალი დონის სტრატეგიული პარტნიორი ჩამოდის ქვეყანაში, როდესაც ყველა საკითხი წინასწარ არის დამუშავებული და შეთანხმებული, ასეთი საჯარო სიურპრიზები არ უნდა მოაწყო. ზოგადად, საგარეო პოლიტიკის წარმოების პრეროგატივა მთავრობას აქვს.

პანიკა აფხაზეთში

გუდაუთაში თავდაცვის სამინისტროს საწყობი აფეთქდა

შორენა მარსაგიშვილი

გუშინ, 2 აგვისტოს, აფხაზეთი სრულმა პანიკამ მოიცვა. გუდაუთის რაიონის სოფელ პრიმორსკოეში მომხდარი აფეთქებების სერიის შემდეგ ადგილობრივი მოსახლეობა და ტურისტები აფხაზეთიდან გაქცევას შეეცადნენ. რესპუბლიკიდან გაქცევის მსურველთა რიცხვი იმდენად დიდი იყო, რომ ფსოუს საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე სერიოზული საცობი შეიქმნა.

ადგილობრივი მედიის ცნობით, მესაზღვრეები ხალხის შეკავებას ძლივს ახერხებდნენ.

პირველი მძლავრი აფეთქების ხმა პრიმორსკოეში ადგილობრივი დროით 16:30 საათზე გაისმა. პირველ აფეთქებას სხვა აფეთქებებიც მოჰყვა და მიმდებარე ტერიტორია სრულმა პანიკამ და ქაოსმა მოიცვა. მოგვიანებით გაირკვა, რომ აფეთქება აფხაზეთის თავდაცვის სამინისტროს საწყობში მოხდა, სადაც საბრძოლო მასალები ინახებოდა.

თავდაცვის სამინისტროს საწყობი სამკურნალო წყაროს მიმდებარე ტერიტორიაზეა. აფეთქების მომენტში იქ ბევრი ხალხი იყო. ისინი ტალახის აბაზანებს იღებდნენ.

– წყაროსთან ვიყავით და ტალახის აბაზანებს ვიღებდით, როდესაც პირველი აფეთქების ხმა გაისმა. გავიგონეთ, როგორ გვიყვიროდა ვიღაც კაცი და იქაურობის დატოვებას გვთხოვდა.

ჩვენ დავიბენით, ვერ მივხვდით, რატომ უნდა გავქცეულიყავით, არც ის ვიცოდით, სად წავსულიყავით. ამასობაში აფეთქების პირველმა ტალღამაც მოაღწია ჩვენამდე და ჩვენ გამოვიქეცით, – ასე იხსენებს აფეთქებას შემთხვევის ადგილზე მყოფი ტვერელი ტურისტი.

მისი თქმით, აფეთქების ტალღამ ისინი წააქცია.

– საშინლად შეგვეშინდა, მოვრბოდით, ადამიანები ლოცვებს კითხულობდნენ და ღმერთს შველას სთხოვდნენ, – ამბობს შეშინებული რუსი ტურისტი.

აფეთქებიდან ძალიან მალე შემთხვევის ადგილზე მივიდნენ აფხაზეთის ხელისუფლების წარმომადგენლები. თავდაცვის სამინისტრომ კი შემთხვევის ადგილზე ჯავშანტექნიკა მიიყვანა.

ადგილობრივი მედიის ცნობით, აფეთქებების სერიას მსხვერპლი არ მოჰყოლია. თავდაცვის სამინისტროს საწყობის აფეთქების შედეგად რამდენიმე ათეული ადამიანი დაშავდა.

აფხაზური მედიის ცნობით, დაშავებულთაგან 5 (მათ შორის 2 ბავშვი) სოხუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოშია გადაყვანილი, დანარჩენები კი – გუდაუთისა და ახალი ათონის რაიონულ საავადმყოფოებში.

აფხაზეთის ჯანდაცვის მინისტრ თამაზ ჭახნაკიას თქმით, დაჭრილთა დაზიანებები საშუალო და მსუბუქი დონისაა.

აფეთქების ზუსტ მიზეზებზე აფხაზები არ საუბრობენ. გუშინ, 2 აგვისტოს, მხოლოდ იმის თქმა შეეძლოთ, რომ აფეთქებები საწყობის ტერიტორიაზე გაჩენილ ხანძარს მოჰყვა. ხანძრის გამომწვევ მიზეზებზე კი ჯერ არ საუბრობენ.

❖ ❖ ❖

თავდაცვის სამინისტროს საწყობის აფეთქებამ და პანიკამ აფხაზებს საზეიმო განწყობა გაუნელა. ეს საზეიმო განწყობა პუტინის მოსალოდნელ ვიზიტს უკავშირდებოდა.

1 აგვისტოს ცნობილი გახდა, რომ რუსეთის პირველი პირი 8 აგვისტოს სოხუმში ჩავა. თბილისში ფიქრობენ, რომ ეს თარიღი მოსკოვმა სპეციალურად შეარჩია. 8 აგვისტო საქართველოსთვის საბედისწერო თარიღია. 2008 წელს ომი სწორედ 8 აგვისტოს დაიწყო.

რუსეთის სახელმწიფო დუმის დსთ-ის საკითხებზე კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე კონსტანტინ ზატულინის შეფასებით, პუტინის ჩასვლა აფხაზეთში განპირობებულია რეგიონში შექმნილი რთული შიდაპოლიტიკური ვითარებით, ასევე აშშ-ის ვიცეპრეზიდენტ მაიკ პენსის ვიზიტით საქართველოში.

– ამ ვიზიტით რუსეთმა უნდა გამოხატოს თავისი ვალდებულებები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ, რადგან პენსმა აქტიურად დაუჭირა მხარი საქართველოს ინტეგრაციას ნატოში.

პენსი აქტიურად უწევს აგიტაციას საქართველოს გაწევრიანებას ნატოში, ამით კი ბევრ საკითხს ეხება, მათ შორის საქართველოს იურისპრუდენციაში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიების ძალადობრივ დაბრუნებას, – აცხადებს ზატულინი.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ოცნებას“ საპარლამენტო არჩევნები მაჭავარიანმა, გოგორიშვილმა და ბაქრაძემ მოაგებინეს“

შორენა მარსაგიშვილი

ლევან ხაბეიშვილი: „ბოკერია ნამდვილი კოპერფილდია, 03%-იანი რეიტინგი აქვს და 21 მანდატი მოიპოვა“

რა გარიგება შედგა „ევროპულ საქართველოსა“ და ხელისუფლებას შორის, ვინ არის ქვეყანაში მთავარი ნეპოტიორი, რატომ გადაწყვიტა ნაციონალების გვერდით დადგომა? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ ხელმძღვანელი ლევან ხაბეიშვილი ესაუბრება.

ლევან ხაბეიშვილი:

– ჩვენი გუნდი თბილისურ ამბებში რომ აქტიურად იყო ჩართული, ეს ყველამ კარგად იცის. თბილისის მერიაში არსებულ დარღვევებზე უამრავი კვლევა გვაქვს გამოქვეყნებული. აქტიურად ვამხელდით კორუფციულ ფაქტებს და მისი გადაჭრის გზებსაც ვთავაზობდი ხელისუფლებას.

ჩემთვის არ არის სულ ერთი, თუ ვინ იქნება თბილისის მერი. ამიტომაც გადავწყვიტე, ჩავბმულიყავი ამ ბრძოლაში და მხარი ზაალ უდუმაშვილისთვის დამეჭირა. რომელიც წესიერი ადამიანია.

– მონიტორინგის ცენტრ „მედიატორს“ დატოვებთ?

– ჩემი თავი „მედიატორის“ გარეშე ვერ წარმომიდგენია და ყოველთვის მათთან ვიქნები დაკავშირებული. რამდენიმე კვირის წინ გრანტიც მოვიგეთ და გარკვეული ვალდებულებები გვაქვს. „მედიატორში“ ძალიან კარგი ადამიანები მუშაობენ და მე მათთან ერთად ვიბრძოლებ, რომ ხელისუფლებაში არა რომელიმე კონკრეტული პარტიის წარმომადგენლები, არამედ წესიერი პიროვნებები მოვიდნენ.

ის გადაწყვეტილება, რომელიც მე მივიღე ნაციონალებთან დაკავშირებით, ადვილი არ იყო, მაგრამ მიმაჩნია, რომ დღეს ეს არის ერთადერთი გამოსავალი. სხვა გამოსავალიც იყო, მაგრამ ოპოზიციამ უარი თქვა ამაზე.

– რა გამოსავალი იყო და რაზე თქვა ოპოზიციამ უარი?

– დაახლოებით 3 თვის წინ, მაშინ როცა თვითმმართველობის არჩევნების თემა ასეთი აქტუალური არ იყო, ტვ პირველის ეთერში გავაკეთე განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ საჭირო იყო ოპოზიციის გაერთიანება, წინააღმდეგ შემთხვევაში, არჩევნების შემდეგ დედაქალაქის მთავრობაში ისევ ეს კრიმინალები დარჩებიან.

მაშინ ისიც ვთქვი, რომ თუ პოლიტიკურ კეკლუცობას დავიწყებდით, ამით, რა თქმა უნდა, იხეირებდა ხელისუფლება. სამწუხაროდ, ოპოზიციამ პოლიტიკურ კეკლუცობაზე უარი ვერ თქვა.

ჩემი გადაწყვეტილება პირდაპირ კავშირშია ზაალ უდუმაშვილის კანდიდატურასთან. ჩემი გადაწყვეტილება პირდაპირ უკავშირდება იმას, რომ ამ ნაციონალურ მოძრაობაში აღარ არიან ბოკერიები, მაჭავარიანები, გოგორიშვილები, თარგამაძეები, გაბაშვილები.

– თქვენი აზრით, ნაციონალური მოძრაობის მთავარი პრობლემა ეს ხალხი იყო?

– რა თქმა უნდა. შარშან სწორედ ამ ხალხის გამო არ მივიღე ნაციონალებთან ერთად არჩევნებში მონაწილეობა და „ახალ საქართველოში“ წავედი. ახლა ეს ხალხი აღარ არის ნაციონალურ მოძრაობაში და ამ პარტიაში ახალი რეალობაა. ძალიან ბევრი ფიქრისა და თუ რაღაც პირადულის დავიწყების შემდეგ გვიწევს პრაგმატული ნაბიჯის გადადგმა – ან ვიბრძოლებთ იმისთვის, რომ თბილისს ჩამოვაშოროთ ნარმანია და არ მივუშვათ კახი კალაძე, ან ვრჩებით კორუფციის ჭაობში.

ნარმანია ფაციფუცა კორუმპირებული, არაფრის გამკეთებელი არ არის. მან მერობის 3 წლის განმავლობაში 3 მილიარდი დახარჯა. ამ 3 მილიარდიდან 229 მილიონი ლარი უშუალოდ ხელფასებსა და პრემია-დანამატებში დაიხარჯა. 441 მილიონი ლარი მათი კომფორტისთვის დავხარჯეთ სამ წელიწადში, რაც ავტომობილით მომსახურებას, საწვავით, სამივლინებო ხარჯით, წარმომადგენლობითი ხარჯით, სარესტორნო ხარჯით, ავეჯის, დაზღვევით და ა.შ. უზრუნველყოფას ნიშნავს.

600 მილიონი ლარი დაიხარჯა სოციალური მიმართულებით. მიუხედავად კოლოსალური დახარჯული თანხისა, შედეგი არსად ჩანს – ხალხი კიდევ უფრო გაღარიბებული და გაღატაკებულია.

ინფრასტრუქტურული მიმართულებით 368 მილიონი ლარი გაფლანგეს. 220 მილიონი ეკოლოგიაში დახარჯა მერმა და ამ მიმართულებით თბილისი 467 ქალაქში პირველ ადგილზეა ჰაერის დაბინძურების მხრივ. თბილისის გამწვანებაზე 42 მილიონი გავიღეთ და სანაცვლოდ ბეტონის ჯუნგლებად გადაქცეული ქალაქი მივიღეთ.

ეს ხომ კატასტროფაა, მაგრამ კიდევ უფრო უარესი შედეგი იქნება, თუ კალაძე გახდება მერი. ნარმანიასგან განსხვავებით, ის უფრო ხისტი, კორუმპირებული და უფრო კლანურ-მაფიოზური მმართველი იქნება.

ამის გარდა, „ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატი ის პირია, რომელიც თავის დროზე ამომრჩეველს ტარიფების განახევრებას შეჰპირდა და, რაც განახევრდა, ყველა ვხედავთ – ყოველ წელს იზრდება დენისა და გაზის ტარიფი.

კალაძე იყო ის ადამიანი, რომელმაც შარშან ოპოზიციას კორცხელში თავისი ზონდერები დაასია. მანვე გააფორმა გაზპრომთან ანტისახელმწიფოებრივი ხელშეკრულება. იმისთვის, რომ ფეხბურთის ფედერაციის არჩევნები მის კანდიდატს, ლევან კობიაშვილს მოეგო, კალაძემ ადამიანი დღისით, მზისით მოიტაცა. ამ დროს რისთვის იომა კალაძემ? იმისთვის, რომ ფეხბურთის განვითარების ფონდისთვის 265 მილიონი ლარია გამოყოფილი. დღეის მდგომარეობით, 97 მილიონია ათვისებული და, რა დღეშიც არის ქართული ფეხბურთი, ყველა ხედავს.

ნეპოტიზმზე როცა ვსაუბრობთ დედაქალაქის მთავრობაში, პირველი ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი უნდა ვახსენოთ. ის არის მთავარი ნეპოტიორი. მან თავის ცოლისძმას ჩააბარა განათლების საქალაქო სამსახური. არადა, იმ ბიჭს განათლება არ ჰქონდა. ცოლის დეიდაშვილი ლუკა კანკავა საბურთალოს გამგებლის მოადგილედ დაასაქმა, ცოლის ბიძა ბესიკ ჭუმბურიძე საბურთალოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელად დასვა. ჯერ მერი არ იყო და თავისი ნათესავებით გაავსო იქაურობა, მერი რომ გახდეს, ხომ წარმოგიდგენიათ, რას იზამს.

აი, ამის წინააღმდეგ უნდა გაერთიანებულიყო ოპოზიცია. გაერთიანება არ შედგა და პროდასავლური პარტიების კანდიდატები, საბოლოო ჯამში, მხოლოდ მავნებლების როლს შეასრულებენ.

– მავნებლების როლს რატომ შეასრულებენ?

– მათ უმრავლესობას 3%-ზე მეტის აღების შანსი არა აქვს. უკეთეს შემთხვევაში, 4-5%-ც შესაძლებელია, რომელიც მათ კვალიფიციური სუბიექტის სტატუსსა და დაფინანსებას მოუტანს.

მიღწევა სულ ეს იქნება. რეალობაში წაეხმარებიან „ქართული ოცნების“ კანდიდატს იმაში, რომ გაზარდოს სხვაობა, მაგალითად, ზაალ უდუმაშვილთან. ზალიკოს გარდა, მეორე ტურში გადასვლის შანსი სხვა არცერთ კანდიდატს არა აქვს. ვინმეს მოსწონს თუ არა ეს, ასეთია რეალობა.

კორუფციის წინააღმდეგ ვიბრძვი წლებია და მინდა იქ ვიყო, სადაც უფრო მძიმე არტილერიაა. ამ გადაწყვეტილების მიღება ჩემთვის ადვილი არ იყო.

– შესაძლოა, უდუმაშვილს მართლა აქვს მეორე ტურში გადასვლის შანსი, მაგრამ ის არის ნაციონალური მოძრაობის წევრი. ეს პარტია კი, როგორც გია ხუხაშვილი იტყვის ხოლმე, დაზიანებული ბრენდია. თქვენი აზრით, დაზიანებულ ბრენდთან ერთად დადგომა თქვენ არ დაგაზიანებთ?

– ამაზეც გეტყვით, რას ვფიქრობ. ძალიან სასაცილოა, რომ დღეს ნაციონალური მოძრაობა აღარ ჰქვია ბოკერიას, გივი თარგამაძეს, მაჭავარიანს, ხათუნა გოგორიშვილს და ნაციონალები გვქვია მე და ზაალ უდუმაშვილს.

– ფაქტია, რომ დღეს მართლა თქვენ ხართ ნაციონალური მოძრაობა.

– მოდით, პირდაპირ ვთქვათ, ნაციონალურ მოძრაობაში დღეს აბსოლუტურად განსხვავებული რეალობაა. ახალი ადამიანები არიან, მათ შორის ისეთები, რომლებსაც საქმე აქვთ ნაკეთები, მაგრამ ისინი საზოგადოებას არასდროს უნახავს.

ნაციონალურ მოძრაობას, მართალია, პრობლემები აქვს, მაგრამ, ისიც ხომ ფაქტია, რომ ამ პარტიას მარტო დედაქალაქში 120.000 მხარდამჭერი ჰყავს.

– ნაციონალური მოძრაობა ახლა ორად არის გაყოფილი და ეს 120.000 ამომრჩეველი არ იქნება გაყოფილი?

– არავითარ შემთხვევაში. 120.000 ადამიანი ნაციონალურ მოძრაობას მხარს მაჭავარიანისა და ბოკერიას ხათრით არასდროს უჭერდა. ისინი იდეას უჭერდნენ მხარს. ეს ხალხი კორუფციის წინააღმდეგია. ისინი თვლიან, რომ კორუფციის დამარცხება მხოლოდ ნაციონალურ მოძრაობას შეუძლია.

ეს 120.000 ამომრჩეველი ნაცმოძრაობის სხვა მხარდამჭერებთან ერთად არასდროს დაუჭერს მხარს ბოკერიას, მაჭავარიანს, გოგორიშვილს, მამა-შვილ გაბაშვილებს, ბაქრაძეს.

ამ ხალხს, მართალია, ხშირად ვახსენებ ამ ინტერვიუშიც და სხვაგანაც, მაგრამ მათი ხსენება არ მომბეზრდება.

– აშკარად გეტყობათ, რომ „სიამოვნებით“ ახსენებთ ამ გვარებს.

– კიდევ ხშირად ვახსენებ ამ გვარებს, რადგან სწორედ მაჭავარიანებმა, გოგორიშვილებმა, ბოკერიებმა დააზარალეს ეს პარტია. ბრენდის დაზიანებაზე თუ ვსაუბრობთ, ნაცმოძრაობა ამათ დააზიანეს.

– თქვენ არასდროს ყოფილხართ ამ პარტიის წევრი?

– მთლად ასე არ არის. 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე მე ნაცმოძრაობის კანდიდატი ვიყავი ვარკეთილში. 300 ხმა დამაკლდა, „ოცნების“ კანდიდატი რომ დამემარცხებინა. აღსანიშნავია, რომ ოპოზიციონერი კანდიდატებიდან თბილისში ყველაზე მაღალი შედეგი მე ვაჩვენე.

ჩემთვის იდეა და ღირებულებებია მთავარი. ამისთვის რაღაცების გვერდზე გადადება მიწევს.

2012 წელს მთელი ქართველი ხალხი დაგვამარცხა რუსულმა ფულმა, რუსმა ოლიგარქმა და ეფესბემ. მაშინ მარტო ნაციონალური მოძრაობა არ დამარცხებულა. ამასთან, იმასაც ვიტყვი, რომ ის ხელისუფლება უნდა შეცვლილიყო.

– ხომ შეიცვალა.

– და რა მივიღეთ მერე? უარესი შედეგი მივიღეთ. იმის მაგივრად, რომ წინ წავსულიყავით, უკან მივდივართ და კორუფციის ჭაობში ვეფლობით. ბოკერიებ-მაჭავარიანებ-გოგორიშვილების ქმედებები რომ არა, 2012 წელს „ოცნება“ ამდენ ხმას ვერ მიიღებდა.

დღეს დავით ნარმანია თბილისის მერი რომ არის, ესეც ამ გუნდის დამსახურებაა. სწორედ ამ ხალხმა მოახდინა მოქმედი მერის ლეგიტიმაცია. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზეც ასე მოხდა. „ოცნებას“ არჩევნები მათ „გაუპრავეს“.

– ყოფილ თანაპარტიელებს სერიოზულ ბრალდებებს უყენებთ.

– არანაირ ბრალდებებს არ ვუყენებ. ამაზე ყოველთვის ღიად ვსაუბრობდი. ესენი არიან გაყიდულები. ჩვეულებრივი პოლიტიკური ვაჭრობით არიან დაკავებული და ეს ამბავი წლებია, რაც გრძელდება.

პოლიტიკურ ვაჭრობაში გაწაფულები რომ არ ყოფილიყვნენ, 21 მანდატს მოიპარავდნენ? ამ ადამიანებმა ნახევარი მილიონი ამომრჩეველი გადააგდეს, საიდანღაც მოიტანეს უცბად „ევროპული საქართველო“.

პირდაპირ უნდა ვთქვა, რომ ბოკერია არის კოპერფილდი. მისი რეიტინგი არ აღემატება 0.3%-ს, მაგრამ მან 21 მანდატი მოიპოვა პარლამენტში. ამას ხომ მოფიქრება უნდა.

დღეს ეს ხალხი მოშორებულია ნაციონალურ მოძრაობას და პარტიაში გადაწყვეტილებები გუნდურად მიიღება, რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

პანიკა აფხაზეთში

დასაწყისი მე-2 გვერდზე

პუტინი აფხაზეთს ბოლოს 2013 წელს ეწვია. მაშინ ის შეხვდა აფხაზეთის მაშინდელ დე ფაქტო პრეზიდენტ ალექსანდრე ანქვაბს.

პუტინურ შურისძიებას შედარებით მშვიდად შეხვდა საქართველოს თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია. მისი განცხადებით, რუსეთის პრეზიდენტის აფხაზეთში დაგეგმილ ვიზიტში ის გაღიზიანების საფუძველს ვერ ხედავს.

იზორიას თქმით, სხვა ქვეყნის მაღალი თანამდებობის პირების ჩამოსვლა ოკუპირებულ ტერიტორიებზე დაგმობილია საერთაშორისო საზოგადოების მიერ.

– მე ვერ ვხედავ გაღიზიანების საფუძველს, იმიტომ რომ ჩვენ არავის წინააღმდეგ არ ვართ მიმართული. მე თავიდანვე ვთქვი, რომ ჩვენი პოლიტიკა არის თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერება. აქედან გამომდინარე, ყველა ქმედება, მათ შორის უმაღლესი თანამდებობის პირების ე.წ. ვიზიტიც, ჩვენს ტერიტორიაზე, ამ შემთხვევაში, ოკუპირებულ ტერიტორიაზე, არის საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევა და დაგმობილია არა მხოლოდ ჩვენ მიერ, არამედ მთელი საერთაშორისო საზოგადოების მიერ, – განაცხადა იზორიამ რუსთავი 2-თან საუბარში.

„ევროპელი დემოკრატების“ თავმჯდომარე პაატა დავითაიას განცხადებით, ვლადიმირ პუტინის ოკუპირებულ აფხაზეთში ჩასვლა ღია მესიჯია, რომ უმოკლეს ხანებში მდგომარეობა დაიძაბება.

დავითაიას თქმით, მას რუსეთის პრეზიდენტის დაგეგმილი ვიზიტი არ გაჰკვირვებია.

– არც გამკვირვებია პუტინის ჩასვლა, ველოდებოდი კიდევაც, რადგან აშშ-ის ვიცეპრეზიდენტის საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ცალსახად მოსალოდნელი იყო მოქმედებები რუსეთის ფედერაციის მხრიდან. ეს ღია მესიჯია რუსეთის ფედერაციის მხრიდან, თუ რა მოქმედებებს აპირებენ. დარწმუნებული ვარ, უმოკლეს ხანებში ოკუპირებულ ტერიტორიებზე მდგომარეობა დაიძაბება და ე.წ. მცოცავი ოკუპაცია შეიძლება გაგრძელდეს. ეს რუსეთის სტილია. თუ გადავხედავთ უახლოეს პერიოდს, ნებისმიერი ჩვენი დასავლური პარტნიორის სერიოზული მხარდაჭერის შემდეგ რუსეთი გადადის გარკვეულ აგრესიულ ქმედებებზე, – განაცხადა დავითაიამ.

„ოპოზიციას მერობის ერთიანი კანდიდატი უნდა ჰყავდეს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „ახალი საქართველოს“ ლიდერი გიორგი ვაშაძე პასუხობს.

– ბატონო გიორგი, თქვენ ოპოზიციურ პარტიებს გაერთიანებისკენ მოუწოდებთ და ამბობთ, ხელისუფლების დამარცხებისთვის აუცილებელია გაერთიანებაო. რომელ პარტიებთან ერთად გეგმავთ ახალი ალიანსის შექმნას და რა გეგმები გაქვთ?

– ჩვენ უკვე დავიწყეთ ეს პროცესი, გასულ კვირაში გვქონდა გაერთიანებაზე პირველი განცხადება. გამოხმაურება არის ძალიან პოზიტიური. გუშინ კიდევ ერთხელ შევიკრიბეთ, ოთხი პოლიტიკური პარტია იყო აქ მოსული, ასევე – ცალკეული ადამიანები, საზოგადოებისთვის ცნობილი და აქტიური სახეები, რომლებიც ჩაერთვნენ ამ პროცესში. შევთანხმდით, რომ პარასკევს გადავდგამთ პირველ ნაბიჯს.

– ნაბიჯს რისკენ?

– ის ადამიანები, რომლებიც უკვე მზად ვართ ამ გაერთიანებისთვის, ოფიციალურად ვაფუძნებთ ამ ყველაფერს. მაგრამ მთავარი, რატომ ვაკეთებთ ამას?!

ჩვენ თუ ვფიქრობთ, რომ „ქართული ოცნება“ არის ხელისუფლება, რომელსაც კატასტროფისკენ მიჰყავს ქვეყანა, აუცილებელია მისი დამარცხება არჩევნებში, სამართლიან დემოკრატიულ არჩევნებში. იმისთვის, რომ ამ ადამიანებმა ვერ შეძლონ ხელისუფლების შენარჩუნება. ვხედავთ, თუ რა თავნებობას აქვს ადგილი. პირდაპირ ვთქვათ, მეორე, მესამე და მეხუთე ადგილისთვის ბრძოლას და ბრძოლას იმისთვის, რომ ვიღაცა მთავარი ოპოზიციური ძალაა, ვიღაცა მეორე ოპოზიციური ძალაა და ასე შემდეგ, არის აბსოლუტურად აზრს მოკლებული! ერთადერთი, რასაც აზრი აქვს, არის გამარჯვებისთვის ბრძოლა. ჩვენ უნდა დავამარცხოთ „ქართული ოცნება“. ამისთვის აუცილებელია მაქსიმალური კონსოლიდაცია და გაერთიანება. სხვა შემთხვევაში ეს ვერ მოხდება.

– რამდენად გაიზრდება თქვენი რიგები? ელოდებით, რომ, ამ ოთხი სუბიექტის გარდა, სხვა პარტიებიც შემოგიერთდებიან?

– მე ვფიქრობ, რომ ყველა ის პოლიტიკური პარტია, რომლებსაც რეალურად უნდათ „ქართული ოცნების“ დამარცხება, უნდა შეუერთდეს ამ პროცესს. ვიმეორებ, ისინი ჩემთან კი არ მოდიან, მე ვეუბნები, რომ ყველა გავერთიანდეთ და ერთიანი ძალებით შევქმნათ და დავამკვიდროთ ახალი პოლიტიკური კულტურა ქვეყანაში.

– რას გულისხმობს ახალი პოლიტიკური კულტურა?

– ახალი პოლიტიკური კულტურა გულისხმობს სწორედ ასეთ გაერთიანებებს, მათ შორის გულისხმობს პრაიმერებს.

– მერობის ერთიან კანდიდატზე როგორ შეთანხმდებით?

– პრაიმერი ერთადერთი გზაა. ვინც წინაპირობას დააყენებს, რომ მე უნდა ვიყო მერობის კანდიდატი, ეს არის ამ მოლაპარაკების ჩამშლელი. პირდაპირ უნდა დავარქვათ ყველაფერს თავისი სახელი. ჩვენთვის ერთადერთი გზა არის პრაიმერი! სწორედ პრაიმერის მეშვეობით უნდა მოხდეს კანდიდატის შერჩევა, რომელიც საბოლოო ბრძოლაში დაუპირისპირდება კახა კალაძეს, რომელიც უნდა დამარცხდეს ამ არჩევნებში.

– გაერთიანების შემთხვევაში მეტი შანსი გაქვთ?

– კვლევებს შევხედოთ. თუ ოპოზიცია გაერთიანდება, ფაქტობრივად, ეს არის გამარჯვების გარანტია. მოდით, პირდაპირ ვთქვათ, ხელისუფლებას, საუკეთესო შემთხვევაში, აქვს 30%. ანუ 70% სად არის? არის ოპოზიციაში. გაერთიანების შემთხვევაში 70-ით 30-ს ვამარცხებთ! აი, ამაზეა ლაპარაკი.

გიორგი ვაშაძე: „ხელისუფლებას დათმობაზე წასვლა მოუწევს“

– ყველა ოპოზიციურ პარტიას ეპატიჟებით? თუ არიან პარტიები, რომლებთანაც თანამშრომლობას კატეგორიულად გამორიცხავთ? არსებობს ეს ბარიერი?

– ბარიერი არის, რა თქმა უნდა. პრორუსულ პარტიებთან ვერ ვითანამშრომლებთ. ვინც ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ მოქმედებს, მე იმასთან როგორ უნდა ვითანამშრომლო?! ეს ვერ წარმოიდგენია. მადლობა საქართველოს საზოგადოებას, რომ ამ ხალხს მხარდაჭერა საერთოდ არა აქვს. საქართველოში პრორუსულ პარტიებს მხარდაჭერა არა აქვს. ვინც მოსკოვში ჩავიდა, მისი რეიტინგი განულდა და ეს აჩვენა პატრიოტთა ალიანსის რეიტინგმაც.

– ნაციონალური მოძრაობა, ევროპული საქართველო – მათთან სათანამშრომლოდაც მზად ხართ?

– ყველასთან, გარდა პრორუსული პარტიებისა. ხვალ-ზეგ შევთანხმდებით სტრატეგიაზე და დამატებით განცხადებებს გავაკეთებთ.

– ამ პარტიებს უკვე ჰყავთ მერობის კანდიდატები და რამდენად წამოვლენ ამ შეთავაზებაზე?

– მერე რა, რომ ჰყავთ?! პრაიმერზე დააყენონ. ელისაშვილი, უდუმაშვილი თუ დანარჩენები დადგნენ პრაიმერზე, რა პრობლემაა?! ჰყავთ რა, თვითმიზანია, რომ თავიანთი კანდიდატი უნდა ჰყავდეთ?! თუ ჩვენი მიზანია, რომ ხელისუფლება დავამარცხოთ?! აი, ამაშია ამოცანა. ვის რა აქვს მიზნად დასახული, ახლა ეს ყველაფერი გაირკვევა და ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. დღეს ნამდვილად არ ვიცი მათი პოზიციები, მაგრამ ვნახოთ.

– ყველაფერი გაირკვევაო, აცხადებთ. რა უნდა გაირკვეს?

– პირდაპირ ვამბობ, თუ არ ჩაერთვებიან, ეს იმუშავებს „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ.

– ბატონო გიორგი, ჯანი ბუკიკიო მმართველ პარტიასა და ოპოზიციას 6 სექტემბერს სტრასბურში შეხვედრას სთავაზობს, რადგან მანდ ვერ შეძელით კონსენსუსი, იქნებ აქ დაილაპარაკოთო. როგორ აფასებთ ამ შეთავაზებას და რას ელოდებით?

– უპრეცედენტო შემთხვევაა ვენეციის კომისიის მხრიდან. ფაქტობრივად, თავის თავზე მედიატორის ფუნქცია აიღო ვენეციის კომისიამ და პირდაპირ მოუწოდა ხელისუფლებასა და ასევე ოპოზიციურ პარტიებსაც – დავსხდეთ, მე ვიქნები თქვენ შორის მედიატორი და შევთანხმდეთ ისეთ სამართლებრივ პროცესზე, ისეთ კონსტიტუციაზე, რომელიც იქნება ფართო კონსენსუსით მიღებული, რომელიც იქნება ფუნდამენტი დემოკრატიული საქართველოს მშენებლობისა.

– რაზე მიუთითებს ბუკიკიოს ეს ინიციატივა?

– რამდენიმე საკითხზე მიუთითებს. პირველი: „ქართულმა ოცნებამ“ ჩიხში შეიყვანა საკონსტიტუციო პროცესი და ამას უნდა, რომ უბრალოდ საკუთარ თავზე მოირგოს კონსტიტუცია. მეორე მნიშვნელოვანი საკითხი არის ის, რომ ევროპა, ამ შემთხვევაში ვენეციის კომისიის სახით, ზრუნავს საქართველოში დემოკრატიის განვითარებასა და საქართველოში კონსტიტუციის, როგორც ქვეყნის ფუნდამენტის სწორად აწყობაზე, იქიდან გამომდინარე, რომ მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დემოკრატიული საქართველო, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მისი პარტნიორი ქვეყანა საქართველოს სახით, იყოს დემოკრატიული და ვითარდებოდეს დემოკრატიულად. და მესამე: ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ „ქართულ ოცნებას“, სამწუხაროდ, არანაირი რესურსი არა აქვს დიალოგის, კომპრომისების, არ ფიქრობს ქვეყნის განვითარებაზე, ფიქრობს მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე და ოპოზიციის კონსოლიდირებულ პოზიციას შეუძლია, გააკეთოს ყველაფერი.

– წამოვა ამაზე ხელისუფლება, დათანხმდება ამ ფორმატში შეხვედრას?

– დღეს ხელისუფლებას სხვა გზა არც აქვს. რას ჰქვია, არ დათანხმდება?! თუ არ დათანხმდება, ის ამ ნაბიჯით საკუთარი პარტიის იზოლაციას დაიწყებს, ფაქტობრივად, ევროპული სტრუქტურებიდან და არა ქვეყნის, რადგან ქვეყნის იზოლაციას „ქართული ოცნება“ ვერ მოახდენს!

– რას ელოდებით ამ შეხვედრისგან?

– მე მაქვს მოლოდინი, რომ ამ შეხვედრაზე ხელისუფლება წავა დათმობებზე და მას მოუწევს მიიღოს კონსტიტუცია, რომელიც იქნება მეტნაკლებად ფართო კონსენსუსით მიღებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის მიდის დემოკრატიული ფუნდამენტური პრინციპების წინააღმდეგ და იწყებს საკუთარი თავის დელეგიტიმაციას.

ვახტანგ მაისაია: „საქართველო ამერიკისა და რუსეთის დაპირისპირების პოლიგონად გადაიქცა“

გულიკო ბალაძე

ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ საქართველოს ტერიტორია გახდა პოლიგონი რუსეთსა და ამერიკას შორის. მისი განცხადებით, საჭიროა, ამერიკასთან გაფორმდეს უსაფრთხოების ინდივიდუალური ხელშეკრულება, რომ ჩვენი უსაფრთხოება დაცული იყოს.

„ახალი ცივი ომი უკვე დაწყებულია“

– ბატონო ვახტანგ, ამერიკისა და ნატოს სხვა ქვეყნების სამხედრო ტექნიკაზე ამხედრებულებმა სამხედროებმა მთელი დასავლეთ საქართველო გამოიარეს, ჩერდებოდნენ ქალაქებში, ხვდებოდნენ ხალხს და ასე ჩააღწიეს ვაზიანის საწვრთნელ ბაზამდე, სადაც წვრთნები იმართება. როგორ აფასებთ თქვენ ამ ფაქტს? რას ნიშნავს ეს?

– ეს არის კლასიკური ტიპის სამხედრო ძალის დემონსტრირება, რაც ამერიკელებმა ჩაატარეს რუსების წინააღმდეგ. კლასიკური ტიპის სამხედრო ძალის დემონსტრირება ხდება როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან. საქართველო გახდა ერთგვარი პოლიგონი რუსეთ-ამერიკის გეოსტრატეგიული დაპირისპირებისა. ეს უკვე შემდგარი ფაქტია. ეს ფაქტი ასე შეიძლება აღვიქვათ, რადგან რუსეთის საწინააღმდეგოდ გადადგმული ნაბიჯია. წვრთნა კი მიმდინარეობს ნატოს „ღირსეული პარტნიორობის“ პროგრამის სულისკვეთებით, რომელშიც მონაწილეობენ რუსეთის მოკავშირე სომხეთის სამხედრო ძალის წარმომადგენლები (30 ჯარისკაცი).

– რატომ არის ჩართული ამ წვრთნებში რუსეთის სტრატეგიული მოკავშირე სომხეთი?

– საქართველოში მიმდინარეობს წვრთნები ნატოს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ეგიდით, რომელიც მოიცავს ნატოს სამშვიდობო ოპერაციების, კრიზისების მართვის ოპერაციების განვითარებასა და ხელშეწყობას, რომელშიც მონაწილეობენ ნატოს წევრი სახელმწიფოები და პარტნიორი ქვეყნები.

– სომხეთი ნატოს პარტნიორი ქვეყანაა?

– რა თქმა უნდა, არის. სომხეთი მონაწილეობდა კოსოვოსა და ავღანეთის კრიზისებში, პარტნიორობაშია ნატოსთან. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არაფერია.

– თქვენ აცხადებთ, რომ საქართველო გახდა პოლიგონი ამერიკისა და რუსეთის გეოსტრატეგიული დაპირისპირებისა.

– დიახ, საქართველო გადაიქცა უკვე ახალი ცივი ომის ყველაზე მნიშვნელოვან პოლიგონად. ახალი ცივი ომი შემდგარია და მისი განვითარების შუა ფაზაშია. ჩვენ ვცხოვრობთ ახალი ცივი ომის პირობებში.

– რა შედეგი შეიძლება მოიტანოს საქართველოსთვის მის ტერიტორიაზე რუსულ-ამერიკულმა გეოსტრატეგიულმა დაპირისპირებამ?

– საქართველოს კარგს რომ არაფერს მოუტანს, ფაქტია. სამწუხაროდ, ჩვენ უკვე გადავიქეცით ამ პოლიგონად. ოკუპაციამ უსაფრთხოების ჩიხამდე მიიყვანა ქვეყანა. ამერიკული სამხედრო ძალა საკმაოდ ინტენსიურად აკეთებს მობილიზებას. ამერიკელებს ძალიან მძიმე ლეგიტიმაცია გააჩნიათ საქართველოს ტერიტორიაზე, ვიდრე ჩერნოგორიასა და ბალტიისპირეთში. მართალია, ჩერნოგორიაში რუსული ძალა კვლავ ძლიერია და საფრთხე ჯერ კიდევ არ არის აცილებული, მაგრამ ჩერნოგორია უკვე არის ნატოს წევრი ქვეყანა. სხვათა შორის, მაიკლ პენსმა მოიარა ის ქვეყნები, რომლებიც რუსული რეალური აგრესიის ქვეშ არიან. მან იმოგზაურა იმ ქვეყნებში, რომლებიც არიან რუსული აგრესიის პირდაპირი მსხვერპლნი და დღესაც არიან რუსული სამხედრო ძალის რეალური დარტყმის საფრთხის ქვეშ.

– როდესაც ძალის დემონსტრირებაზეა საუბარი, რუსეთისთვის ცხადია, ცნობილი იყო ამ წვრთნებისა და პენსის ვიზიტის შესახებ.

– დიახ, ცნობილი იყო 2 თვით ადრე.

– ამ ვიზიტისა და წვრთნების წინ რუსეთი გარკვეულ პროვოკაციულ ქმედებებს ახორციელებდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, იმავე ცხინვალის რეგიონში საზღვრები გადმოჰქონდა, ხნულებს ავლებდა, ადამიანებს იტაცებდა, ნავთობსადენის გარკვეული მონაკვეთი დაიჭირა.

– მიუახლოვდა თბილისი-გორის სატრანსპორტო მაგისტრალს.

– ამ ფონზე ნატოს მხრიდან ძალის დემონსტრირება რა შედეგს მოიტანს? პესკოვმა გააკეთა განცხადება, რომ ის ქვეყნები, სადაც პენსმა იმოგზაურა, დამოუკიდებელნი არიან. ჩვენთვის მნიშვნელოვანია და უარყოფითად მივიჩნევთ რუსეთის საზღვართან ნატოს მიახლოებასო.

– პესკოვი ამ საკითხს პროპაგანდისტული კუთხით უყურებს, როგორც სამხედრო საფრთხის კუთხიდან. მათთვის ნატო და ამერიკა ერთ მთლიანობად აღიქმება. მათთვის ნატოსა და ამერიკის სამხედრო ინფრასტრუქტურის გამოჩენა რუსეთის საზღვრების სიახლოვეს არის პირდაპირი საფრთხე. ამ ფაქტორიდან გამომდინარე, მათი გადასახედიდან, რუსეთმა ადეკვატური ქმედება განახორციელა ბალტიისპირეთთან მიმართებით. ადეკვატურიც აღარ არის ის ფართომასშტაბიანი წვრთნები, რომელსაც პირდაპირ ბალტიის ქვეყნების საზღვრებთან მართავს. ჩვენ სიახლოვეს შეიარაღებული ძალები მოიყვანა სამხედრო მზადყოფნაში, წვრთნებს ატარებს ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის ტერიტორიაზე, მობილიზაცია გაუკეთა ასევე სარაკეტო-საზენიტო დანადგარებს, „იაკანდერ-მ-ებს“. ეს წვრთნები საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ცხინვალსა და აფხაზეთში დღესაც მიმდინარეობს.

– ამიტომ იყო ამერიკელების მხრიდან სამხედრო ტექნიკის გატარება საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს სამხედრო ძალის დემონსტრირება?

– დიახ, ნატოსა და ამერიკის მხრიდან რუსეთის წინააღმდეგ. საქართველო ახლა უკვე ამ ორი გეოპოლიტიკური გავლენიანი ცენტრის – რუსეთისა და ამერიკის დაპირისპირების პირდაპირი პოლიგონია.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

აფხაზეთში რუსეთის მოქალაქეებზე კიდევ ერთი თავდასხმა მოხდა

მარიამ მჭედლიშვილი

რუსეთიდან ჩამოსული დამსვენებლის მკვლელობის შემდეგ ოკუპირებულ აფხაზეთში ტურისტული სეზონი, ფაქტობრივად, ჩაიშალა. შემორჩენილი ტურისტების ნაწილი საგზურში გადახდილი ფულის უკან დაბრუნებას მოითხოვს, ნაწილი კი აქტიურ დასვენებაზე უარს ამბობს და სახლში დაბრუნებისათვის ემზადება.

შემორჩენილი დამსვენებლები შოკში ჩააგდო ახალმა მძიმე კრიმინალურმა შემთხვევამ. თავდასხმის ობიექტი გახდნენ დამსვენებელი რუსეთიდან და მისი მასპინძელი რუსეთის მოქალაქეების ოჯახი.

აფხაზეთში არსებობს მოსახლეობის ახალი კატეგორია – რუსეთიდან გადმოსახლებულები. ცოლ-ქმარი ივანოვები მათ რიცხვს მიეკუთვნებიან. ისინი პეტერბურგიდან გადმოვიდნენ და მაისის შემდეგ გუდაუთის რაიონის დაბა ხიპსტაში ცხოვრობენ.

მათ სახლში შეღწევას დაუდგენელი პირები სამჯერ ეცადნენ, მაგრამ – უშედეგოდ.

ბოლო თავდასხმისას ოჯახი სტუმართან ერთად სახლში იმყოფებოდა. სამმა ნიღბიანმა თავდამსხმელმა ფულის გამოძალვის მოთხოვნის თანხლებით სასტიკად აწამა ცოლი და ქმარი. ნიღბიანებს ოთახში ნაპოვნი ფული ეცოტავათ. მასპინძლის სიტყვები, სახლი კრედიტით ვიყიდეთ და ფული არ გვაქვსო, მათ ყურად არ იღეს და საბოლოოდ ეზოში მდგარი „რენო“ გაიტაცეს.

მანქანა ნაპოვნია, მაგრამ თავდამსხმელების კვალს ჯერ ვერ მიაგნეს. საავადმყოფოში მკურნალობს ოჯახის დიასახლისი, რომელსაც ტვინის შერყევა, მოტეხილობები და უთოთი მიყენებული დამწვრობა აღენიშნება.

დაზარალებულ ოჯახს დახმარებას დაჰპირდა აფხაზეთში რუსული დიასპორის თავმჯდომარე.

რუსი ტურისტებისთვის საბედისწერო გახდა ავიაგასეირნებებიც.

დაკარგული ტურისტის ძებნაში ავიაცია ჩაერთო

ცოტა ხნის წინ დაიმსხვრა მსუბუქმოტორიანი თვითმფრინავი, რომელმაც სამი ადამიანი იმსხვერპლა. პილოტიც და მგზავრებიც რუსეთიდან ჩამოსული დამსვენებლები იყვნენ.

ამის გამო დე ფაქტო პრეზიდენტი ხაჯიმბა იძულებული გახდა, მსუბუქი ავიაციის ფრენები აეკრძალა. მისი განმარტებით, ფრენები შეჩერდება მანამ, სანამ არ გაძლიერდება უსაფრთხოების ზომები.

ავიაციას აფხაზი სამართალდამცავები და საგანგებო სიტუაციების სამსახური თავის საქმიანობაში იყენებენ. საჰაერო გზით ეძებენ კიდევ ერთ რუს ტურისტს – ანდრეი ლიხაჩოვს, რომელიც 12 ივლისის შემდეგ, მარტო ლაშქრობისას გაუჩინარდა. სახმელეთო გზებით მისი გზა-კვალი ვერ იპოვეს.

ლიხაჩოვის დაკარგვამდე ერთი დღით ადრე მოხდა ტურისტის გახმაურებული მკვლელობა. ამის შემდეგ რუსეთის ფაქტობრივმა საელჩომ გააფრთხილა რუსეთის მოქალაქეები, მოერიდონ აფხაზეთის უკაცრიელ ადგილებს, კონფლიქტებს ადგილობრივ მოსახლეობასთან და უყურადღებოდ არ მიატოვონ ბავშვები.

აფხაზეთში კრიმინოგენური სიტუაციის გართულებას ექსპერტები მხოლოდ შინაგან საქმეთა ორგანოების არასაკმარის მუშაობას არ უკავშირებენ. მათი აზრით, ამას ხელს უწყობს მოსახლეობის უმეტესობის ცხოვრების დონის დაცემა. აფხაზეთში ვერ ვითარდება მცირე და საშუალო ბიზნესი, მდიდრდება მცირერიცხოვანი ჯგუფი, დანარჩენი მოსახლეობა ღარიბდება. სახელმწიფო აპარატი უსაშველოდ არის გაბერილი, დაძაბულია ურთიერთობა კლანებსა და პოლიტიკურ ჯგუფებს შორის.

დონალდ ტრამპმა რუსეთის წინააღმდეგ სანქციების დაწესების აქტს ხელი მოაწერა

სააგენტო „ბლუმბერგი“ თეთრ სახლზე დაყრდნობით იტყობინება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა რუსეთის წინააღმდეგ სანქციების დაწესების აქტს ხელი მოაწერა.

რუსეთის, ირანისა და ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ სანქციებს ჯერ წარმომადგენელთა პალატამ, შემდეგ კი სენატმა ხმათა უმრავლესობით დაუჭირა მხარი.

პირველი რადიო

უკრაინის გენპროკურორი სააკაშვილის საქართველოში ექსტრადირებას არ გამორიცხავს

უკრაინის გენერალურმა პროკურორმა იური ლუცენკომ არ გამორიცხა, რომ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტისა და ოდესის ყოფილი გუბერნატორის მიხეილ სააკაშვილის უკრაინაში ჩამოსვლის შემთხვევაში მისი საქართველოში ექსტრადირება მოხდება.

ამის შესახებ საინფორმაციო გამოცემა „აპოსტროფი“ იუწყება ერთ-ერთი ბლოგერის, ნიკოლაი ფელდმანის ფეისბუქპოსტზე დაყრდნობით.

ფელდმანის ინფორმაციით, 1 აგვისტოს ლუცენკო ბლოგერებს შეხვდა, სადაც სააკაშვილზე ისაუბრა.

როგორც ფელდმანს კომენტარებში ერთ-ერთმა მომხმარებელმა ეკატერინა ზოლოტარევამ მისწერა, ლუცენკო არ საუბრობდა სააკაშვილის დაუყოვნებლივ ექსტრადირებაზე.

– მან (ლუცენკომ) განაცხადა, რომ თუ ქართველები ხელმეორედ მიმართავენ, მაშინ კანონით ის ამას გააკეთებს. ის კი არ უთქვამს, რომ მაშინვე ექსტრადირებას უპირებს სააკაშვილს, – დაწერა ზოლოტარევამ.

❖ ❖ ❖

შეგახსენებთ, მიხეილ სააკაშვილს უკრაინის მოქალაქეობა 26 ივლისს ჩამოართვეს. როგორც უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციამ „ინტერფაქს-უკრაინას“ განუცხადა, ამის მიზეზი გახდა მოქალაქეობის მისაღებად საჭირო დოკუმენტების შევსებისას არასწორი ინფორმაციის მიწოდება. სააკაშვილი ამჟამად აშშ-ში იმყოფება.

მედიანიუსი

ვახტანგ მაისაია: „საქართველო ამერიკისა და რუსეთის დაპირისპირების პოლიგონად გადაიქცა“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

– ეს ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის დადებითია თუ უარყოფითი?

– თქვენ თვითონ გამოიტანეთ დასკვნა. სამწუხაროდ, დადებითი ვერ იქნება, რადგან ამერიკელები დღეს არიან, წვრთნების შემდეგ გავლენ, ჩვენ კი ვრჩებით რუსეთის პირისპირ. რუსეთს კიდევ რა მოუვა თავში და რა ახალ „სიურპრიზს“ მოგვიწყობს, გაურკვეველია. საქართველოს უსაფრთხოება არის მოწყვლადი, ამიტომ აქ არის მისაღები კონკრეტული ზომები.

– რა ზომებია მისაღები?

– საქართველოსთვის უნდა შეიქმნას ისეთივე თავდაცვითი მექანიზმი, როგორიც არის ნატოს ეგიდით. პენსმა პირდაპირ თქვა, რომ ისინი ბალტიისპირეთს დაიცავენ ნატოს წესდების მეხუთე მუხლის შესაბამისად. თუ ბალტიისპირეთში შეიჭრება რუსული არმია, ნატოს, ამერიკის შეიარაღებული ძალები პირდაპირ ჩაერთვებიან რუსული ავიაციის მოსაგერიებლად, ისევე, როგორც ჩერნოგორიაში. საქართველო კი არის გაურკვეველ სიტუაციაში. საქართველოს მიმართ ნატოს მეხუთე მუხლი არ მოქმედებს. ჩვენ მაპიც კი არ გაგვაჩნია. მაპი, გარკვეულწილად, ითვალისწინებს გარკვეული ზომების მიღებას, როგორც კანდიდატ ქვეყანას, აქვს უსაფრთხოების გარკვეული გარანტიები.

– გამოსავალს რაში ხედავთ?

– ამერიკასთან უნდა გაფორმდეს უსაფრთხოების ინდივიდუალური ხელშეკრულება, როგორიც გაფორმებული აქვს იორდანიასთან, იაპონიასთან, რადგან ჩვენი უსაფრთხოება ბეწვზე ჰკიდია.

– ამერიკის სამხედრო მანქანა ხომ შეიძლება, კიდევ შემოვიდეს?

– შემოვა და გავა. შეიძლება, სამხედრო ინსტრუქტორები დარჩნენ.

– სტრატეგიული პარტნიორის სტატუსი არ მისცემს ამერიკას საშუალებას, რომ ჩვენი უსაფრთხოება დაცული იყოს?

– სტრატეგიული პარტნიორის სტატუსი რუსული აგრესიის შემაკავებელი მექანიზმი არ არის. ამერიკელებმა შეიძლება სამხედრო ტექნიკა გადმოგვცენ, დაგვეხმარონ სამხედრო აღმშენებლობის საქმეში, წვრთნები ჩაატარონ. ამის იქით მათი ქმედება არ წავა. რუსეთი ახლა აგრესიული გახდა. ამერიკამ ბოლოდროინდელი სანქციებით რუსეთს ეკონომიკური ომი გამოუცხადა. ახლა გაცილებით მძიმე სიტუაციაა. აქამდე ეკონომიკური ომი არ იყო გაჩაღებული. ახლა ამერიკასა და რუსეთს შორის ეკონომიკური და კიბერომია გაჩაღებული. კიბერომი პირველმა რუსეთმა დაიწყო. პირველმა რუსეთმა მიაყენა დარტყმა ამერიკის სუვერენიტეტს, ამერიკის პოლიტიკურ სისტემას. ამიტომ რუსეთმა მიიღო ეკონომიკური ომი და სანქციები საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში განხორციელებული აგრესიის გამო.

„მტკიცება, რომ ბანკები კაპიტალის ბაზრის განვითარებით არ ინტერესდებიან, უსაფუძვლოა“

დაბალი ლიკვიდურობა, ვაჭრობის მცირე მოცულობები, ინვესტორთა სიმცირე, ფინანსური ინსტრუმენტების ნაკლებობა, არასაკმარისი ფინანსური განათლება, – სებ-ის პრეზიდენტი საფონდო ბაზრის გამოწვევებზე „ბანკებსა და ფინანსებს“ ესაუბრა. კობა გვენეტაძემ ინფრასტრუქტურაზეც აღნიშნა, ერთადერთი პლატფორმა რომ ჯერ კიდევ ათეული წლების წინ შექმნილი საფონდო ბირჟაა, რომელიც კი განახლდა (USAID-ის პროექტის ფარგლებში), თუმცა წლების განმავლობაში მოძველდა, არ განვითარდა და მნიშვნელოვნად ჩამორჩა საერთაშორისო ტენდენციებსა და სტანდარტებს.

მაშინდელმა ბირჟამ ვერ შეძლო აღნიშნული პლატფორმით ინვესტორების სათანადოდ დაინტერესება და მას შემდეგ, რაც კანონით ბირჟაზე ვაჭრობა ნებაყოფლობითი გახდა (2007 წლამდე ფასიანი ქაღალდები მხოლოდ ბირჟაზე ივაჭრებოდა, შემდეგ დაიშვა ფიქსინგი) საწარმოთა უმრავლესობამ ბირჟის გარეთ ვაჭრობა არჩია.

კობა გვენეტაძე ბირჟის საკონტროლო პაკეტის (58%) მფლობელი ბანკების შესაძლო არასათანადო მონდომებაზე, „ბანკების და ფინანსების“ კითხვის პასუხად განაცხადა, რომ „მნიშვნელოვანია დავეყრდნოთ რეალურ, ობიექტურ ფაქტებსა და მონაცემებს. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომერციული ბანკების შვილობილი კომპანიების ფლობაში ბირჟის დაახლოებით 37%-ია, რაც გამორიცხავს კომპანიაში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების ისე მიღებას, რომ მასში ბირჟის სხვა აქციონერები არ მონაწილეობდნენ. გარდა ამისა, საფონდო ბირჟის აქციონერები (მათ შორის ბანკები) ეროვნულ ბანკთან ერთად ახორციელებენ მნიშვნელოვან ინვესტიციებს ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემაში. უსაფრთხო, სწრაფი და ეფექტური ანგარიშსწორების სისტემა კაპიტალის ბაზრების განვითარების აუცილებელი პირობაა. აღნიშნული რეფორმა ბაზრის ყველა მონაწილეს ფასიანი ქაღალდებით ოპერაციების ანგარიშსწორების ადვილად და რისკების გარეშე განხორციელების საშუალებას მისცემს“.

სებ-ის პრეზიდენტმა 10-20 მლნ-ის გარიგებით რამდენიმე ასეული მლნ ლარის მოგებაზე გასვლის შესაძლებლობაზე ისაუბრა:

– დამეთანხმებით, რომ თუ ამ შემთხვევაში ანგარიშსწორების რაიმე რისკები არსებობს, რამდენიმე ასეული ლარის გამო რამდენიმე მილიონს არავინ გარისკავს. სწორედ ამიტომ, ბირჟაზე ვაჭრობა შეუძლებელია თანამედროვე უსაფრთხო სისტემების გარეშე. ამიტომაც სებ-მა ბირჟასთან თანამშრომლობით, ანგარიშსწორების სისტემის განახლება დაიწყო, ისე, რომ მან კერძო ფასიანი ქაღალდებიც მოიცვას. სებ-ი სახელმწიფო ვალდებულებების ნაწილში მონაწილეობს კერძო სექტორის ნაწილის ინვესტიციას კი კერძო დეპოზიტარი ახორციელებს, რომელიც ბირჟის მფლობელობაშია.

მომავალში, დაგეგმილია თანამედროვე სავაჭრო სისტემის დანერგვა. მთლიანობაში, კერძო სექტორის ინვესტიციები ბირჟის განვითარებაში 2 მილიონ ლარზე მეტია, ამიტომ, იმის მტკიცება, რომ ბანკების მხრიდან არ არის კაპიტალის ბაზრის განვითარების დაინტერესება საფუძველს მოკლებულია“, – ამასთან აქციონერების დავის გაჭიანურებაზეც აღნიშნა, „რაც ხელს უშლის ბირჟის ნორმალურ ფუნქციონირებას, რადგანაც ბირჟის ისედაც მწირი რესურსების და დროის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ამ დავებში მონაწილეობაში იხარჯება.

„ირანელი ბიზნესმენები საქართველოში ინვესტიციებს ვერ ახორციელებენ“

ირანისთვის სანქციების მოხსნიდან წელიწად-ნახევრის შემდეგ ირანულ ბიზნესს საქართველოში ინვესტიციების განხორციელება უჭირს. სანქციების მოხსნისთანავე ანუ 2016 წლის იანვარში გაჩნდა მოლოდინი, რომ სანქციების მოხსნის შედეგად საბანკო ტრანზაქციები დაბლოკილი აღარ იქნებოდა და მხარეებს ფულადი გადარიცხვების პრობლემაც მოეხსნებოდათ, რაც, საბოლოო ჯამში, ორ ქვეყანას შორის ბიზნესურთიერთობებს გააქტიურებდა.

როგორც აღმოჩნდა, გადარიცხვებთან დაკავშირებით პრობლემები დღესაც არსებობს და ამ კუთხით ხელშესახები არაფერი მომხდარა.

პრობლემის მოუგვარებლობის გამო ირანიდან ინვესტიციების შემოსვლას ხელი ეშლება, რაზეც საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ირანისა და პაკისტანის ისლამურ რესპუბლიკებში, იოსებ ჩახვაშვილის შემდეგ „კომერსანტთან“ ირანის სავაჭრო პალატის გენერალური დირექტორი რაჰიმ აბაჩიც საუბრობს. მისი მტკიცებით, საუბარია საკმაოდ დიდი ოდენობის ინვესტიციაზე.

– ინვესტორს, რომელსაც ნებისმიერ საქმეში რამოდენიმე მილიონის ჩადება უნდა, ეს რა თქმა უნდა, ბანკის მეშვეობით უნდა განახორციელოს. ნაღდი ანგარიშსწორებით ხომ ამას ვერ განახორციელებს? აღნიშნულ პრობლემაზე ჩვენ თითქმის ყველა შეხვედრაზე და კონფერენციაზე ხაზგასმით ვსაუბრობთ, – აცხადებს რაჰიმ აბაჩი.

კითხვაზე, რატომ ვერ მოხერხდა დღემდე ორ ქვეყანას შორის აღნიშნული პრობლემის მოგვარება, აბაჩი აცხადებს, რომ შესაძლოა, ეს დასავლეთის გავლენა იყოს.

– ჩვენი ვარაუდია, რომ დასავლეთი შესაძლოა, საქართველოს ამის საშუალებას არ აძლევდეს. ირანს ყაზახეთთან მსგავსი პრობლემა მოხსნილი აქვს, ასევე პრობლემა მოგვარდა რუსეთთანაც, ევროპის რამოდენიმე ქვეყანასთანაც გარკვეულ ჩარჩოებში ხდება ტრანზაქციები, საქართველოში კი შეზღუდვა დღემდე არ მოიხსნა. ეს ცუდია ინვესტიციების შემოსვლის თვალსაზრისით, – აცხადებს რაჰიმ აბაჩი.

მისი ინფორმაციით, საქართველო ინვესტორებისთვის საკმაოდ მიმზიდველი ქვეყანაა. აბაჩის შეფასებით, ქვეყანაში ლიბერალური საგადასახადო რეჟიმი მოქმედებს და ინვესტიციების განხორციელებისთვის ყველა პირობაა შექმნილი. ირანის სავაჭრო პალატის გენერალური დირექტორი განმარტავს, რომ ირანელები დიდ ინტერესს ენერგეტიკაში და სოფლის მეურნეობის სექტორში გამოხატავენ.

შეგახსენებთ, ირანს საერთაშორისო სანქციები 2016 წლის იანვარში მოეხსნა. საუბარია სანქციებზე, რომლებიც მის მიმართ 2005 წლიდან ამოქმედდა თეირანის მიერ ბირთვული პროგრამის შემუშავების გამო.

ირანსა და „ექვსეულს შორის შეთანხმებები 2015 წელს იქნა მიღწეული და, დოკუმენტების თანახმად, თეირანი უარს ამბობდა ბირთვული პროგრამის გაგრძელებაზე საერთაშორისო სანქციების მოხსნის სანაცვლოდ. სანქციების მოხსნის ფორმალური პროცედურა 2015 წლის ოქტომბერში, მას შემდეგ დაიწყო, რაც ირანის პარლამენტმა საერთაშორისო შეთანხმების რატიფიცირება მოახდინა.

„თბილისში 512 „ხრუშჩოვკაა“, რომელთა ჩანაცვლებასაც დაახლოებით ნახევარი მილიარდი ლარი დასჭირდება“

დედაქალაქის მერობის ერთ-ერთი კანდიდატი კახა კალაძე „ხრუშჩოვკების“ ეტაპობრივ ჩანაცვლებას აპირებს. ამის შესახებ კალაძემ ვიდეომიმართვა სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ გაავრცელა.

მისივე თქმით, „ხრუშჩოვკების“ ჩანაცვლების შესახებ პროექტი უკვე მომზადებულია, რომელსაც მოსახლეობას უახლოეს პერიოდში წარუდგენს.

რამდენად შესაძლებელია აღნიშნული პროექტის განხორციელება, დაახლოებით რა თანხებზეა საუბარი, რამდენი „ხრუშჩოვკაა“ თბილისში და რამდენი ოჯახი ცხოვრობს იქ – ამის შესახებ მენაშენეთა ასოციაციის თავმჯდომარე ირაკლი როსტომაშვილმა ისაუბრა.

მისი თქმით, ეს საკითხი ერთი ხელის მოსმით ვერ მოგვარდება და მის გადაჭრას ერთი საარჩევნო პერიოდი – 3 წელი არ ეყოფა.

– ამ საკითხის მოგვარებას დაახლოებით 20 წელი სჭირდება. თბილისში 4-5-სართულიანი დაახლოებით, 512 „ხრუშჩოვკაა“, სადაც 12 ათასი ოჯახი ცხოვრობს და მათ დაახლოებით 600 ათასი კვადრატული მეტრი ფართი უკავია. ეს „ხრუშჩოვკები“ ძირითადად ვაჟა-ფშაველას კვარტლებში, ნავთლუღში, დიღომში და კრწანისშია განთავსებული. რაც შეეხება ფინანსებს, აღნიშნული „ხრუშჩოვკების“ ჩასანაცვლებლად დაახლოებით ნახევარი მილიარდი ლარია საჭირო, – განაცხადა როსტომაშვილმა.

ბიბიენი

ნაყინში პათოგენური მიკროორგანიზმები არ დაფიქსირდა

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ სამომხმარებლო ბაზარზე განთავსებული ქართული წარმოების სხვადასხვა დასახელების ნაყინი შეამოწმა. პათოგენურ მიკროორგანიზმებზე – სალმონელასა და ლისტერია მონოციტოგენეზზე ლაბორატორიული კვლევა ჩაუტარდა 21 დასახელების ნაყინის 105 ნიმუშს, მათ შორის, ვანილის, ჭიქის, საოჯახო, კაკაოს, ყავის, შოკოლადის, ხილის, ესკიმოსა და ა. შ. სხვადასხვა ბიზნესოპერატორის მიერ წარმოებულ პროდუქციას.

ლაბორატორიული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ნაყინის 105 ნიმუშიდან არცერთი არ არის დაბინძურებული პათოგენური მიკროორგანიზმებით.

ლისტერია მონოციტოგენეზი პათოგენური მიკროორგანიზმია, რომელიც განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის ბავშვებისა და ორსული ქალების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

სალმონელა (შალმონელლა) არის ბაქტერიათა ჯგუფი, რომელიც იწვევს ტიფოიდურ დაავადებებს და მწვავეგასტროენტეროკოლიტს. უმეტესად აზიანებს საჭმლის მომნელებელ ტრაქტს.

გასულ წელს პათოგენურ მიკროორგანიზმებზე სულ შემოწმდა ნაყინის 39 ნიმუში, აქედან 20 ლისტერიასა და 19 – სალმონელაზე.

ბიუროკრატიული პრობლემა „აწარმოე საქართველოში“ — „მეწარმეს სესხის უკან დაბრუნება ზოგჯერ ბიზნესის დაწყებამდე უწევს“

– ბიუროკრატიული პრობლემების გამო მეწარმეებს არარსებული ბიზნესიდან სესხის უკან დაბრუნება უწევთ.

ამის შესახებ „მომავლის ფერმერის“ ხელმძღვანელმა რუსუდან გიგაშვილმა „კომერსანტს“ განუცხადა.

მისი თქმით, სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოს“ შედეგების შეფასების სისტემა სახელმწიფოს არ გააჩნია.

– პრობლემა არის ის, რომ ამ პროგრამის ეფექტიანობის შეფასების პრაქტიკა არ არის დაგეგმილი. ამ რაოდენობით თანხები დაიხარჯა და სისტემა არ არის ჩამოყალიბებული. ანუ არ ვიცით, ვითვლით დასაქმებულთა რაოდენობას, მთლიან შიდა პროდუქტში მის წილს, კონკრეტული დარგების განვითარების მაჩვენებლებს თუ რას? შეფასების სისტემა ხელისუფლებას არ აქვს. შუალედურ პერიოდებში, როდესაც მონიტორინგებს უნდა ატარებდეს, გაურკვეველია რის მიხედვით ითვლიან და ატარებენ მას, – აღნიშნა რუსუდან გიგაშვილმა.

მისი თქმით, „აწარმოე საქართველო“ არის მოუქნელი პროგრამა, განსაკუთრებით ბიუროკრატიული პრობლემების გამო და ხშირად მეწარმეს სესხის უკან დაბრუნება უწევს მაშინ, როცა ბიზნესი დაწყებულიც კი არ აქვს.

– ძირითადი საკითხი, რაც მოუქნელს ხდის ამ პროგრამას, ბიუროკრატიული პრობლემებია, რომელიც მეწარმეებს ხშირად ექმნებათ. ეს დროში იმდენ ხანს იწელება, რომ ზოგჯერ ვალის გადახდის შეღავათიან პერიოდს სრულად ამაში იყენებენ. ბიზნესს დაიწყებ, სესხის დასაფარად საშეღავათო პერიოდი გეძლევა და ათვლა იწყება. მაგრამ დოკუმენტაცია და თანხმობა გჭირდება, ბარიერები გექმნება. ყოფილა შემთხვევები, რომ ადამიანებს ექვსი თვე გასწელვიათ დოკუმენტაციის შეგროვების პროცესი. ზოგჯერ ერთი წელი გასულა და საქმიანობაც კი ვერ დაუწყიათ. ამასობაში სესხის უკან დაბრუნების დროც მოდის და გამოდის, რომ არარსებული ბიზნესიდან სესხის უკან დაბრუნება უწევთ. მეწარმეებისთვის ერთი ფანჯრის პრინციპი უნდა არსებობდეს, რადგან მათთვის დრო ფულია და ხელშეწყობა სჭირდებათ, – განაცხადა რუსუდან გიგაშვილმა.

ამასთან, გიგაშვილმა სახელმწიფო პროგრამაში არსებულ კიდევ ერთ პრობლემაზე ისაუბრა, რაც სანქციების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას გულისხმობს: „მეწარმეებს ხშირად გარკვეულ საკითხებთან წვდომა არ აქვთ. მაგალითად, გარემოს დაცვის სფეროში შევიდა სანქციები, რაც ჯარიმებს ითვალისწინებს. საწარმოებისთვის დაფინანსება რომ გაიცემა, ინფორმაციაც უნდა იყოს მიწოდებული, რა მოეთხოვება, რა დროში და ვინ დაეხმარება. თუ მე ჩემი გზებით ძებნა დავიწყე და ვირბინე, ეს ძალიან დამაბრკოლებს. მხოლოდ სესხის გაცემა დახმარებას არ ნიშნავს.“

131 გაფრთხილება ერთ თვეში

პირველი ივლისიდან ერთი თვის განმავლობაში შემოსავლების სამსახურმა ლარში ფასდადების რეგულაციის დარღვევის 131 შემთხვევა დააფიქსირა. როგორც უწყების მიერ კომერსანტისთვის გამოგზავნილ წერილშია აღნიშნული, მათ შორის 93 მეწარმის მიმართ სახდელის სახით გამოყენებულია მხოლოდ გაფრთხილება (გაფრთხილების შემდეგ გამოსწორდა შესაბამისი სამართალდარღვევა), ხოლო 38 მეწარმეს სახდელის სახით გაფრთხილების შემდეგ შეეფარდათ ფულადი ჯარიმა.

აღსანიშნავია, რომ დარღვევები ძირითადად გამოვლენილია სამშენებლო საქმიანობის განმახორციელებელ პირებთან და ტუროპერატორებში საქმიანობის იმ ნაწილში, რომელზეც არ ვრცელდება გამონაკლისები.

ცნობისათვის, პროდუქციისა და მომსახურების შეთავაზება და რეკლამირება პირველი ივლისიდან მხოლოდ ლარში უნდა მოხდეს. რეგულაცია ვრცელდება მხოლოდ მეწარმე სუბიექტებზე – კანონმდებლობით განისაზღვრება როგორც იურიდიული (შპს; სააქციო საზოგადოება და სხვა) ასევე, ფიზიკური პირები (ინდმეწარმეები).

დარღვევის პირველად აღმოჩენის შემთხვევაში მეწარმე სუბიექტი არ ჯარიმდება და მხოლოდ გაფრთხილება ეძლევა. დარღვევის მეორედ აღმოჩენის შემთხვევაში მეწარმე სუბიექტი 1.000 ლარით ჯარიმდება, მესამე ჯერზე კი 5 ათასი ლარით.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით, ამ რეგულაციაში გათვალისწინებულია გამონაკლისები. მათ შორისაა:

ავიაბილეთები, სასტუმრო ან ტურისტული მომსახურება (თუ კომუნიკაცია უცხოურ ენაზე ხდება);

აზარტული თამაშები;

ტვირთების გადაზიდვა;

როუმინგული და დაზღვევის მომსახურება უცხოეთში;

მომსახურების გაწევა ან საქონლის მიწოდება არარეზიდენტისთვის ან ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

სახელმწიფო მაღალი საექსპორტო პოტენციალის მქონე ახალ სექტორებს შეისწავლის

სსიპ „აწარმოე საქართველოში“ ქვეყნის ექსპორტის განვითარებისა და ზრდის ხელშეწყობის მიზნით, გერმანული საკონსულტაციო კომპანია „GFA Consulting Group“-ის ექსპერტებთან ერთად, მაღალი საექსპორტო პოტენციალის მქონე სექტორების სიღრმისეულ შესწავლას იწყებს. აღნიშნულ საქმიანობას მხარდაჭერას უწევს ევროკავშირის თანადაფინანსებით მიმდინარე პროექტი „მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება და DCFTA საქართველოში“, რომელსაც გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება(GIZ) „ევროკავშირი ბიზნესისთვის“ პროგრამის ფარგლებში ახორციელებს.

ექსპორტის განვითარების სტრატეგიაზე მუშაობის ფარგლებში „GFA Consulting Group“-ის ექსპერტებთან პირველი სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც სააგენტო „აწარმოე საქართველოს“ მხრიდან დირექტორის მოადგილე ზვიად ქვლივიძე და ექსპორტიორთა ხელშეწყობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი კოტე მდინარაძე, GIZ-ის მხრიდან კი – პროექტის ხელმძღვანელი ფილიპ შტეანჰაიმი, პროექტის ექსპერტი რატი ანჯაფარიძე და პროექტის კონსულტანტი, საქართველოს ექსპორტის განვითარების ასოციაციის პრეზიდენტი გვანცა მელაძე დაესწრნენ.

ქართველი და უცხოელი ექსპერტები ერთად შეაფასებენ სხვადასხვა ინდუსტრიის საექსპორტო პოტენციალს, რის შემდეგაც შერჩეული სექტორების სპეციფიკისა და გამოწვევების გათვალისწინებით, შეიმუშავებენ შესაბამის სტრატეგიასა და ექსპორტის ხელშემწყობ შედეგებზე ორიენტირებულ აქტივობებს. აღნიშნული სექტორების შერჩევა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ კვლევებსა და სექტორულ შეფასებებზე, ასევე საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით მოხდება.

სააგენტო „აწარმოე საქართველოში“, რომელიც ბიზნესის, ექსპორტისა და ინვესტიციის მიმართულებებს აერთიანებს, მიზნად ისახავს ქართული სამეწარმეო შესაძლებლობების გაზრდას, ქვეყანაში წარმოებული პროდუქტებისა და სერვისების ექსპორტის ზრდის ხელშეწყობასა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვას.

პროექტი „მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება და DCFTA საქართველოში“ მეწარმეებს კონკურენტუნარიანობის გაზრდასა და ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო სივრცის პირობებში ჩამოყალიბებულ ახალ მარეგულირებელ გარემოსთან ადაპტირებაში ეხმარება. პროექტი „ევროკავშირი ბიზნესისთვის“ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება, მისი მიზანია, დაეხმაროს მცირე და საშუალო მეწარმეებს, ისარგებლონ საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით, კერძოდ – ის ხელს უწყობს ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას, მეწარმეების ცოდნისა და უნარების ამაღლებასა და ფინანსებთან ხელმისაწვდომობას. „ევროკავშირი ბიზნესისთვის“ პროგრამის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ვებგვერდზე: www.eu4business.eu.

ივნისში საქართველოში ფულადი გზავნილები 17,1%-ით გაიზარდა

2017 წლის ივნისში საქართველოში ჩამორიცხული თანხების მოცულობა, წინა წელთან შედარებით, 17.1 პროცენტით გაიზარდა და 117.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საქართველოდან გადარიცხული თანხების მოცულობა 9.4 პროცენტით გაიზარდა და 17.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საანგარიშო თვეში მაღალი ტემპით გაიზარდა ისრაელიდან გადმორიცხული ფულადი სახსრები (2.1-ჯერ), რომლის წვლილმა მთლიანი გზავნილების ზრდაში 5.3 პროცენტული პუნქტი შეადგინა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიშის მიხედვით, მაღალი წვლილი, 3.7 პროცენტული პუნქტი, ჰქონდა რუსეთიდან ფულადი გზავნილების ზრდასაც. ძირითადი ქვეყნებიდან ფულადი ტრანსფერების ზრდაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია თურქეთიდან (22.2 პროცენტით) და აშშ-დან (14.5 პროცენტით) გზავნილების მატებამ. საანგარიშო თვეში მოიმატა ევროკავშირის ქვეყნებიდან გადმორიცხულმა ფულადმა სახსრებმა (9.5 პროცენტით), რაც ძირითადად იტალიიდან (15.5 პროცენტით), ესპანეთიდან (15.8 პროცენტით) და საბერძნეთიდან (4.1 პროცენტით) გაზრდილმა გზავნილებმა განაპირობა. ევროკავშირის ქვეყნებიდან ასევე მოიმატა საფრანგეთიდან და გერმანიიდან გზავნილებმა.

რეგიონის ქვეყნებიდან გაზრდილია უკრაინიდან და აზერბაიჯანიდან გადმორიცხული ფულადი სახსრები. ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს რუსეთი (34 პროცენტი) და ევროკავშირის ქვეყნები (30 პროცენტი) წარმოადგენენ. ასევე მნიშვნელოვანია აშშ-ის, ისრაელისა და თურქეთის წილი მთლიან ფულად გზავნილებში.

მუსტაფა ემრე ჩაბუქის ადვოკატმა საქალაქო სასამართლოს საჩივრით მიმართა

დემირელის კოლეჯის მენეჯერის მუსტაფა ემრე ჩაბუქის ადვოკატმა სოსო ბარათაშვილმა თბილისის საქალაქო სასამართლოს საჩივრით მიმართა. როგორც ადვოკატმა სოსო ბარათაშვილმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, ისინი გაასაჩივრებენ ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს იმ გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც მუსტაფა ემრე ჩაბუქსა და მისი ოჯახის წევრებს უარი ეთქვათ ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე.

სოსო ბარათაშვილის განცხადებით, საჩივარში ყურადღება გამახვილებულია იმ გარემოებებზე, რომ ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ დარღვეულია ლტოლვილთა საერთაშორისო კონვენციის მთელი რიგი მუხლები.

– ჩვენ გვაქვს მტკიცებულებები 450 ფურცლად. ამ მტკიცებულებებით დასტურდება, რომ სამინისტროს აუცილებლად უნდა მიენიჭებინა ლტოლვილის სტატუსი.

ყურადღება გამახვილებულია, რომ ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ დარღვეულია ლტოლვილთა საერთაშორისო კონვენციის მთელი რიგი მუხლები, ასევე, საერთაშორისო დაცვის შესახებ კანონი, რომ არ შეიძლება ამ ადამიანის გადაცემა თურქეთისათვის, ვინაიდან ის იდევნება პოლიტიკური ნიშნით. თურქეთში ექსტრადირების შემთხვევაში მას მოელის წამება და არაადამიანური მოპყრობა, – განაცხადა სოსო ბარათაშვილმა.

დემირელის კოლეჯის მენეჯერ მუსტაფა ემრე ჩაბუქს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ ლტოლვილის სტატუსი არ მიანიჭა. მუსტაფა ემრე ჩაბუქი თურქეთის ხელისუფლების მოთხოვნით საქართველოშია დაკავებული და მას წინასაექსტრადიციო პატიმრობა აქვს შეფარდებული.

ზურაბ ხუციშვილის ოჯახის წევრებმა მთავარ პროკურატურასთან აქცია გამართეს

გარდაცვლილი ზურაბ ხუციშვილის ოჯახის წევრებმა მთავარ პროკურატურასთან აქცია გამართეს.

როგორც ადვოკატი ლაშა შუკაკიძე აცხადებს, საქმის შესწავლის შემდეგ შეუძლია თქვას, რომ „ზურაბ ხუციშვილი საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის მიერ არის მოკლული“.

– ჩვენი აქციის მიზანია, რომ დაუყონებლივ დაისაჯონ ზურაბ ხუციშვილის მკვლელი პოლიციელები. საქმის შესწავლის შემდეგ მე, როგორც ადვოკატმა, სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ საპატრულო ეკიპაჟის მიერ განხორციელებულია ზურაბ ხუციშვილის მკვლელობის ფაქტი. საქმეში არსებული და მედიით გავრცელებული მასალებით ჩანს, რომ რამდენიმე წამით ადრე ზურაბ ხუციშვილი გარბის და მას ფეხდაფეხ მიჰყვება საპატრულო ეკიპაჟი, რომელიც იღებს იარაღს და ამ ფაქტის შემდეგ რამდენიმე წუთში ეს ადამიანი გარდაიცვლება. აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის საქმეში არსებული მასალებით დგინდება, რომ განხორციელებულია მკვლელობა, მაგრამ პროკურატურას საქმე თაროზე აქვს შემოდებული. არაერთი განცხადებითა და მოთხოვნით მივმართეთ, რომ მტკიცებულებებზე დაყრდნობით დროულად დაისაჯონ პატრულის ის თანამშრომლები, რომლებმაც მკვლელობის ფაქტი ჩაიდინეს. პროკურატურა არანაირ რეაგირებას არ ახდენს. მთელი ამ ხნის განმავლობაში პროკურატურა ამ საქმეზე მხოლოდ დაკავებულია იმით, რომ როგორმე დამალოს აღნიშნული მკვლელობის საქმე. აქედან გამომდინარე, მოვუწოდებთ პროკურატურას, რომ დროულად გამოიძიონ და დასაჯონ ზურაბ ხუციშვილის მკვლელი პოლიციელები, – განაცხადა ადვოკატმა ლაშა შუკაკიძემ.

ზურაბ ხუციშვილი გასულ წელს, 3 აგვისტოს, მტკვარში გარდაცვლილი იპოვეს და საქმეზე გამოძიება თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით აღიძრა.

ირაკლი მამალაძე თემურ თათარაშვილის საქმეში – რა ინფორმაციას ფლობს მომღერალი

ირაკლი ფირცხალავა აცხადებს, რომ ე.წ. ციანიდის საქმის მთავარი მოწმე ირაკლი მამალაძე რამდენიმე გახმაურებულ საქმეში აგენტად იყო ჩართული.

ადვოკატი გიორგი ფანცულაია ამბობს, რომ ერთ-ერთი ასეთი საქმე მომღერალ თემურ თათარაშვილის საქმეა.

– ფირცხალავამ გაიხსენა საქმეები, რომელშიც ირაკლი მამალაძე იღებდა მონაწილეობას. ერთ-ერთი იყო თემურ თათარაშვილის საქმე, რომელშიც ის იყო აგენტ-პროვოკატორი. ასევე, გაიხსენა ჟურნალისტ გიო გაბუნიას საქმე. მან ისიც თქვა, თუ რა თანხა მიიღო ამაში ირაკლი მამალაძემ. კონკრეტულად ის ადამიანებიც მიუთითა, რომლებმაც გადასცეს თანხა. აქედან გამომდინარე, ეს იყო პროკურატურისთვის ყველაზე ცუდი რამ და ამან გამოიწვია ის, რომ 30-დან 25-ზე მეტი კითხვა მოსამართლემ მოხსნა. ირაკლი მამალაძე რომ აგენტია, დასაბუთებულია უკვე სასამართლოში, დაფიქსირებულია თანხაც და მონაწილე პირები. ახლა ჯერი მოსამართლეზეა. მამალაძეს „პრესა“ იმიტომ შეარქვეს, რომ ჟურნალისტებზეც ახდენდა ზეწოლას, – განაცხადა გიორგი ფანცულაიამ.

* * *

„ნიუპოსტი“ თემურ თათარაშვილს დაუკავშირდა. მომღერალი ჩვენთან საუბრისას ამბობს, რომ არ აქვს ინფორმაცია, ფიგურირებს თუ არა საქმეში ირაკლი მამალაძე. მისი თქმით, ჟურნალისტს არც კი იცნობს.

– გჯერათ, რომ სახეზეც არ ვიცი, ვინ არის? საერთოდ პირველად მესმის ეს. თუ თქვენ მეტყვით რამეს, მეც მაინტერესებს, ვინ არის. რა აგენტი? – მგონია, რომ ვიღაცა „მაღადავებს“. ციანიდის საქმე ვიცი, თუმცა მართლა არაფერი ვიცი ამ განცხადების შესახებ, – თქვა „ნიუპოსტთან“ თათარაშვილმა.

ბათუმში 23 წლის მამაკაცი დაჭრეს

ბათუმის რეფერალურ საავადმყოფოში ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრილი 23 წლის მამაკაცი მოათავსეს. როგორც სამედიცინო დაწესებულებაში „ინტერპრესნიუსს“ განუცხადეს, ახალგაზრდას ჭრილობები გულმკერდისა და მუცლის არეში აქვს მიყენებული. ექიმებმა მას შესაბამისი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს.

– შემავალი ცეცხლსასროლი ჭრილობით გულ-მკერდის არეში 23 წლის მამაკაცი შემოვიდა. მას შესაბამისი ლაბორატორიული დიაგნოსტიკური კვლევები ჩაუტარდა. ამ დროისთვის ქირურგიულ განყოფილებაში მკურნალობას გადის. მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, – განაცხადა რეფერალური საავადმყოფოს ექიმმა მედეა მიმინოშვილმა.

ხობში მამაკაცი ჩამომხრჩვალი იპოვეს

ხობში ცოლმა ქმარი ხეზე ჩამომხრჩვალი იპოვა.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარ ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

საწვავის ავზის აფეთქების შედეგად მამაკაცი დაშავდა

თბილისში, ფეიქრების ქუჩაზე, საწვავის ავზის აფეთქების შედეგად ახალგაზრდა მამაკაცი დაშავდა.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლით დაიწყო, რაც სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს.

ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით დაკავებულ დავით და ტარიელ მახარობლიძეებს „გლეხოვიჩთან“ ნათესაური კავშირი აქვთ

შპს „რაზას“ მფლობელისთვის 20.000 ლარის ოდენობით თანხის გამოძალვა მიმართული იყო ქურდული სამყაროსთვის სარგებლის მიღებისკენ.

ამის შესახებ პროკურორმა თორნიკე მარსაგიშვილმა ჟურნალისტებს ქურდულ სამყაროსთან კავშირის ბრალდებით დაკავებული დავით და ტარიელ მახარობლიძეებისა და გიორგი რეხვიაშვილის სასამართლო პროცესის დაწყებამდე განუცხადა.

– დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, აღნიშნული პირები დანაშაულებრივ კავშირში არიან „კანონიერ ქურდთან“ და დაზარალებულისთვის (სამშენებლო კომპანია შპს „რაზა“) თანხის გამოძალვა ემსახურებოდა სწორედ ქურდული სამყაროს მიზნების განხორციელებას, – განაცხადა პროკურორმა.

მისი თქმით, არსებობს ვიდეო და აუდიო მტკიცებულებები, რომლებიც „დაკავებულებს დანაშაულის ჩადენაში ამხელს“.

* * *

ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით დაკავებულ დავით და ტარიელ მახარობლიძეებს „გლეხოვიჩთან“ (ზაალ მახარობლიშვილი) ნათესაური კავშირი აქვთ.

ამის შესახებ ჟურნალისტებს დაკავებულების ადვოკატმა ტარიელ კაკაბაძემ განუცხადა. მისივე ინფორმაციით, ისინი ბიძაშვილები არიან.

– არც დავით მახარობლიძე და არც ტარიელ მახარობლიძე არ აღიარებენ დანაშაულს. ისინი ზაალ მახარობლიშვილის ბიძაშვილები არიან, – განაცხადა ადვოკატმა.

ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით დავით და ტარიელ მახარობლიძეები და გიორგი რეხვიაშვილი დააკავეს.

ვაჟა-ფშაველას გამზირზე ბუნებრივი აირის გაჟონვამ ხანძარი გამოიწვია

ვაჟა-ფშაველას გამზირზე, საცხოვრებელი კორპუსის მეშვიდე სართულზე, ბუნებრივი აირის გაჟონვამ ხანძარი გამოიწვია.

როგორც „ნიუპოსტს“ საგანგებო სიტუაციის მართვის სააგენტოში განუცხადეს, შეტყობინება ხანძრის გაჩენის შესახებ გუშინ დილით შევიდა. ხანძრის შედეგად არავინ დაშავებულა. სამაშველო ჯგუფებმა ცეცხლის ლიკვიდირება მალევე მოახდინეს.

მათივე ინფორმაციით, ხანძრის ლიკვიდაციაზე 5 სამაშველო ბრიგადა მუშაობდა და დაიწვა 50 კვადრატული მეტრი.

ტარაკნები „შირაქის პროდუქტის“ მაღაზიაში – ობიექტი დაიხურა

„შირაქის პროდუქტის“ ქსელის ის მაღაზია, სადაც ტარაკნები აღმოაჩინეს, დახურულია.

მაღაზია სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის ინსპექტორებმა უკვე შეამოწმა. მაღაზიის მფლობელს 1.000-ლარიანი ჯარიმა დაეკისრა და სიტუაციის გამოსასწორებლად ერთთვიანი ვადა მიეცა.

სოცქსელში მომხმარებლის მიერ გადაღებული ვიდეო განთავსდა, სადაც ჩანს, როგორ გადაადგილდებიან პროდუქტზე ტარაკნები.

მიაწვდის თუ არა აშშ უკრაინას ლეტალურ იარაღს?!

პენტაგონმა და სახელმწიფო დეპარტამენტმა უკრაინისათვის ლეტალური იარაღის მიწოდების გეგმა შეიმუშავეს. ამის თაობაზე „უოლ სთრით ჯორნალი“ იუწყება. პენტაგონის მაღალჩინოსნის დენიელ გურეს ცნობით, ალბათობა იმისა, რომ ამერიკელები უკრაინელებს შეაიარაღებენ, დიდია.

– ობამა უკრაინისათვის ლეტალური იარაღის მიწოდების კატეგორიული წინააღმდეგი იყო. ტრამპის ადმინისტრაციაში სხვა განწყობილებებია, – აცხადებს გურე.

ამავე დროს, პენტაგონის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა იმას, რომ გადამწყვეტი სიტყვა პრეზიდენტმა ტრამპმა უნდა თქვას. მას კი ამ საკითხზე ჯერჯერობით საბოლოო პოზიცია არ გააჩნია.

– გენერლები პრეზიდენტს არწმუნებენ, რომ უკრაინელებს აუცილებლად უნდა დავეხმაროთ. ჩვეულებრივ, ბატონი ტრამპი თავის გენერლებს ენდობა და მათ პოზიციას იზიარებს, თუმცა, დარწმუნებით ვერ ვიტყვი, რომ ამჯერადაც ასე მოხდება, – ამბობს გურე.

ექსპერტ ვიტალი პორტნიკოვის აზრით, უკრაინისათვის ლეტალური იარაღის მიწოდების საკითხი ფრონტზე შექმნილმა მდგომარეობამ განაპირობა. უკრაინამ აშშ-ის დახმარების გარეშეც შეძლო თავისი სამხედრო ქარხნების ამუშავება და არმიის თანამედროვე იარაღით უზრუნველყოფა. უკრაინელებმა ჰიბრიდული ომის ტაქტიკაც კარგად აითვისეს. შედეგად რუსული არმია დონბასში უდიდეს ზარალს განიცდის. რეგიონის 80% ოკუპანტებისაგან გათავისუფლებულია. ამან რუსების აღშფოთება განაპირობა.

– რუსი სამხედროები უკვე ღიად აცხადებენ, რომ რაკეტებსა და ავიაციას გამოიყენებენ, რათა დონბასში რუსი მოსახლეობის გენოციდი არ დაუშვან, – წერს პორტნიკოვი.

ექსპერტი ხაზს უსვამს, რომ რაკეტები და ავიაცია უკრაინულ მხარესაც გააჩნია. თუკი რუსეთი მასობრივ შეტევაზე გადავიდა, ამას საკადრისი პასუხიც გაეცემა. დაიწყება საშინელი ხოცვა-ჟლეტა, რაც როგორც რუსეთს, ასევე უკრაინასა და დასავლეთსაც ძალიან ძვირად დაუჯდება.

– უკრაინისათვის ლეტალური იარაღის მიწოდება აშშ-ის უკრაინისადმი მხარდაჭერის მაჩვენებელია. პუტინიც ახალი სამხედრო ავანტიურებისაგან თავს შეიკავებს. შეიქმნება პირობები რეალური მოლაპარაკებების დასაწყებად, რათა დონბასში მშვიდობა აღდგეს, – წერს პორტნიკოვი.

ამერიკელი ექსპერტის მიხეილ კოფმანის პოზიცია დიამეტრულად განსხვავებულია. ის ხაზს უსვამს იმას, რომ უკრაინისათვის იარაღის მიწოდება ნაადრევია, რადგანაც აშშ-ს ჯერ არ გააჩნია სტრატეგია დონბასის ომთან მიმართებით.

– ჯერ უნდა გავარკვიოთ, რა გვინდა? ის, რომ რუსები დონბასიდან წავიდნენ თუ ორივე მხარე კომპრომისზე წავიდეს და რაიმე შეთანხმებამდე მივიდეთ? ასევე გაურკვეველია აშშ-ის პოლიტიკა რუსეთის მიმართ, – წერს კოფმანი.

ამრიგად, უკრაინისათვის ლეტალური იარაღის მიწოდების საკითხი ჯერჯერობით გაურკვეველია. სავარაუდოდ, უახლოესი 2-3 თვის განმავლობაში სიცხადეს არ უნდა ველოდოთ.

დონბასში კი ომი გრძელდება.

ტილერსონი: „ჩვენი მიზანი რუსეთთან აშკარა კონფრონტაციის თავიდან აცილებაა!“

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა რექს ტილერსონმა განაცხადა, რომ უკანასკნელ ხანს რუსეთის აგრესიულობა მკვეთრად გაიზარდა. მოსკოვი მხარს უჭერს სისხლიან დიქტატორ ასადს, ცდილობს ევროკავშირის დაშლას. მოსკოვი განაგრძობს ომს დონბასში, არ აპირებს, დაუბრუნოს უკრაინას მიტაცებული ყირიმი და ა.შ.

– ასეთი გამომწვევი საქციელი იძულებულს გვხდის, კონტრზომები გავატაროთ. ეს კი რუსეთთან პირდაპირი კონფრონტაციის საფრთხეს ქმნის, – თქვა ტილერსონმა.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ხაზი გაუსვა, რომ აშშ-ის პრობლემის მშვიდობიანად გადაჭრა სურს. ამის მიღწევის ერთ-ერთი საშუალება სანქციებია.

– რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები საუკეთესო გარანტიაა საიმისოდ, რომ პუტინი ახალ სამხედრო ავანტიურებზე არ წავა. ჩვენ, ჩვენი მხრივ, კრემლთან დიალოგს გავაგრძელებთ, – ამბობს ტილერსონი.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა განაცხადა, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ლავროვთან შესახვედრად ემზადება. სავარაუდოდ, ეს ფილიპინების დედაქალაქ მანილაში გაიმართება. ეს იქნება პირველი შეხვედრა მას შემდეგ, რაც აშშ-მ რუსეთს ახალი სანქციები დაუწესა.

გფბ-ს ახალი დირექტორი ჰყავს

გამოძიების ფედერალურ ბიუროს (გფბ) ახალი დირექტორი ჰყავს. სენატმა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით ამ პოსტზე კრისტოფერ რეი დაამტკიცა.

რეი 1966 წელს დაიბადა. ის პროფესიონალი იურისტია. უმაღლესი განათლება იელის უნივერსიტეტში მიიღო. როგორც ადვოკატმა, სახელი გაითქვა. ამას გარდა, აშშ-ის იუსტიციის სამინისტროშიც მუშაობდა. რეიმ გფბ-ს დირექტორის პოსტზე ჯეიმს კომი შეცვალა.

აშშ-ის კონგრესი რუსეთიდან ამერიკელი დიპლომატების გაძევებას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს

ამერიკელი დიპლომატები მოსკოვში თავიანთ აგარაკებს ტოვებენ. 1 სექტემბრისათვის ამერიკის საელჩოს პერსონალი შემცირდება. რუსეთს 757 ამერიკელი დიპლომატი დატოვებს.

სენატორი კოლინზი მიიჩნევს, რომ აშშ-სთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს. მოსკოვიდან ამერიკელი დიპლომატების წასვლით ვაშინგტონის ინტერესები არ დაზარალდება.

– ამით უფრო მეტად რუსეთი და რუსები დაზარალდებიან. ასეთია არა მხოლოდ ჩემი, არამედ კონგრესმენთა უმრავლესობის პოზიცია, – ამბობს კოლინზი.

სროლა მოსკოვის საოლქო სასამართლოს შენობაში

მოსკოვის საოლქო სასამართლოს შენობაში БГТА-ს ბანდის წევრებს ასამართლებდნენ. ამ ბანდის ანგარიშზე რამდენიმე შეიარაღებული ძარცვა, აგრეთვე მკვლელობების მთელი სერიაა. როცა ბანდიტები ლიფტით სასამართლოს დარბაზში მიჰყავდათ, ერთ-ერთი მათგანი მცველს ყელში სწვდა. სხვა ბანდიტები მცველებს ეცნენ. ერთ-ერთმა მცველმა მობილური ტელეფონით დაცვის დამატებითი ძალების გამოძახება მოასწრო. მიუხედავად ამისა, ბანდიტებმა მასაც და მის ამხანაგებსაც იარაღი წაართვეს.

როგორც კი ლიფტი მეოთხე სართულზე გაჩერდა, ბანდიტებს ნაციონალური გვარდიის მებრძოლები დახვდნენ. გაიმართა სროლა. შედეგად ორი ბანდიტი დაიღუპა, სამი მძიმედ დაიჭრა და ამჟამად ჰოსპიტალიზებულია. დაიღუპა ნაციონალური გვარდიის ოთხი მებრძოლი.

– მომხდარის გამო სამსახურებრივი კვლევა დაინიშნა, – იტყობინება ტსნ.

ავღანეთი: ტერაქტები არ წყდება

ავღანეთის ქალაქ ჰერატში ტერაქტები არ წყდება. ამჯერად აფეთქება ადგილობრივ შიიტურ მეჩეთთან მოხდა. დაიღუპა 35 ადამიანი, ბევრი ჰოსპიტალიზებულია.

– შესაძლოა, დაღუპულთა რაოდენობა გაიზარდოს, რადგანაც ბევრი დაშავებულის მდგომარეობა მძიმეა, – იტყობინება „დოიჩე ველე“.

ტერაქტზე პასუხისმგებლობა ჯერჯერობით არცერთმა ორგანიზაციამ არ აიღო.

ზახარჩენკო კორუფციისათვის სიკვდილით დასჯას მოითხოვს

ე.წ. დონეცკის რესპუბლიკის მეთაურმა ზახარჩენკომ განაცხადა, რომ რესპუბლიკა ბანდიტიზმმა, მაროდიორობამ და კორუფციამ მოიცვა. ძარცვები უკვე დღისით, მზისით ხდება. ქუჩაში სიარული არა მხოლოდ ღამით, დღისითაც საშიშია. რუსეთიდან მიღებული ჰუმანიტარული დახმარება მოსახლეობამდე ვერ აღწევს. სამაგიეროდ, სუპერმარკეტი ჰუმანიტარული ტვირთით არის სავსე. კორუფციამ ყველა სფერო მოიცვა. შედეგად კატასტროფული მდგომარეობა შეიქმნა.

– თუკი ეს ბინძური ტალღა არ დავძლიეთ, ყველანი წავილეკებით, – ამბობს ზახარჩენკო.

სეპარატისტების ლიდერი გამოდის ინიციატივით, რომ კორუფციისათვის სიკვდილით დასჯა იქნეს შემოღებული.

– ჩემი აზრით, უნდა შეიქმნას სპეციალური ტრიბუნალები, რომლებიც კორუფციაში ბრალდებულთა საქმეს მაქსიმუმ 48 საათის განმავლობაში გადაწყვეტენ. უკანონო გზით შეძენილი ქონება კი კონფისკირებულ უნდა იქნეს, – ამბობს ზახარჩენკო.

ბულგარეთმა და მაკედონიამ ისტორიული შეთანხმება გააფორმეს

ბულგარეთის პრეზიდენტმა ბორისოვმა და მაკედონიის პრემიერმა ზაევმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ. ამრიგად, დასრულდა ბულგარეთის რამდენიმე მთავრობის ძალისხმევა, რომლებიც მაკედონიასთან ხსენებული შეთანხმების გაფორმებას ცდილობდნენ.

„მაკედონური საკითხი“ ბულგარეთისთვის კარგა ხანია აქტუალური იყო. როგორც ცნობილია, ქრისტიანობა და კირილიცა სლავებში მაკედონიიდან გავრცელდა. თანამედროვე მაკედონია საუკუნეების განმავლობაში ბულგარეთის სამეფოს შემადგენლობაში იმყოფებოდა. სლოვაკეთის იმპერიის დანგრევის შემდეგ მაკედონია სერბეთმა დაიპყრო. მაკედონიელთა ნაწილი ბულგარეთთან შეერთებას მოითხოვდა, ნაწილი – დამოუკიდებლობას. პირველი და მეორე მსოფლიო ომის დროს ბულგარეთმა ხანმოკლე დროით მაკედონიის შემოერთება მოახერხა. შემდგომში ეს მხარე იუგოსლავიის შემადგენლობაში აღმოჩნდა. მაკედონიის საკითხი აქტუალური 1991 წლიდან გახდა, როცა იუგოსლავია დაინგრა.

თანახმად ბულგარული ისტორიოგრაფიისა, მაკედონიელები ბულგარელები არიან, მაკედონიური ენა კი ბულგარული ენის დიალექტია. მაკედონიაში ამას არ იზიარებენ, ასევე განსხვავებულია მიდგომა რიგი ისტორიული მოვლენების მიმართ. ასე მაგალითად, ბულგარეთში ეროვნულ გმირად გამოაცხადეს მაკედონიის შიდა რევოლუციური ორგანიზაციის (ვმრო) ლიდერი ივანე (ვანჩო) მიხაილოვი, რომელიც მაკედონიის ბულგარეთთან გაერთიანებისათვის იბრძოდა. მაკედონიაში კი მას მოღალატედ თვლიან. ასევე განსხვავებულია მიდგომა 1941-44 წლების მოვლენებისადმი, როცა მაკედონია კვლავ ბულგარეთის შემადგენლობაში მოექცა. ბულგარეთში ამ პერიოდს ერთიანი ბულგარეთის შექმნად მოიხსენიებენ, მაკედონიაში – ბულგარულ ოკუპაციად.

სკოპიეში ხმამაღლა აცხადებდნენ, რომ ბულგარეთთან დაახლოების კატეგორიული წინააღმდეგნი არიან. მიუხედავად ამისა, ბულგარეთის ხელისუფლება წლების განმავლობაში მაკედონიასთან დაახლოებას ჯიუტად ცდილობდა. ბოლოს და ბოლოს, ეს მცდელობა წარმატებით დასრულდა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

მკურნალობა

● ნანა ქიბროწაშვილი – ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის.: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები. გარანტიით! ტელ: 555-72-64-98.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

იტალია გალინარის გარეშე დარჩა. უკრაინაში ლეგიონერს ითხოვენ

სანამ საქართველოს საკალათბურთო ნაკრები ლიტვაშია და ლატვიელებთან სათამაშოდ ემზადებიან, მანამდე არც ჩვენი მეტოქეები კარგავენ დროს და ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებიან.

ჩვენს ჯგუფში ლიტვის ნაკრები, რომელიც პირველ მატჩს სწორედ იმ დღეს გამართავს, ჩვენები ლატვიელებს რომ დაუპირისპირდებიან. ლიტველთა მეტოქე პოლონეთის ნაკრები იქნება.

ჯერჯერობით სიჩუმეა გერმანიიდან და აქამდე „არცერთ გამოფენაში" არ მიუღიათ მონაწილეობა.

უკრაინა და იტალია აპენინებზე შეიკრიბნენ და „ტრენტინოს თასი" გაითამაშეს. ისე მოხდა, რომ გუნდები დაწყვილებისას ერთმანეთს ასცდნენ და არც ჯვარედინი სისტემისას გადაჰყრიან ერთმანეთს.

ტრენტინოს თასი იტალიის ნაკრების გამარჯვებით დასრულდა, თუმცა ეს გამარჯვება უდიდესი დანაკლისის ხარჯზე მოხდა. ჰოლანდიასთან მატჩში ხელი მოიტეხა და ევრობასკეტს გამოტოვებს ლიდერი დანილო გალინარი. იტალიელმა ემოცია ვერ მოთოკა, მეტოქეს ხელი დაარტყა და სწორედ მაშინ მოიტეხა.

ჰოლანდიასთან ფინალამდე იტალიელებმა ბელარუსი გაანადგურეს – 96:36.

აი, როგორ გამოეხმაურა ამ მოვლენას „აძურის" მთავარი მწვრთნელი ეტორე მესინა:

– ჰოლანდიასთან მძიმე თამაში იყო. დაცვაში მეტ-ნაკლებად ვიცოდით, რა უნდა გაგვეკეთებინა, შეტევაში კი, პრესინგისას გაგვიჭირდა. ვნერვიულობდით და სწორედ ემოციის ბრალი იყო, რაც გალინარის დაემართა. მომხდარი უკვე წარსულია, სერიოზული შეცდომა იყო. ჩვენ კი საკუთარი შეცდომებისთვისაც გაორმაგებული მუშაობა გვმართებს და გალინარის შეცდომის გადასაფარადაც. დარწმუნებული ვარ, დანილომ სიტუაცია გააანალიზა და იცის, როგორ მოიქცეს, როდესაც ნაკრების ფორმას ჩაიცვამს.

უკრაინა ჯერ ჰოლანდიასთან (65:70) დამარცხდა, შემდეგ – ბელარუსთან (74:77).

უკრაინელთა შემადგენლობაში მხოლოდ პირველი მატჩი ჩაატარა ნბა მოვლილმა ცენტრმა კირილ ფესენკომ, რომელსაც მცირე ტრავმა აქვს. მზადება ახალი დაწყებულია და რთულია გუნდების თამაშის ხარისხზე ლაპარაკი, თუმცა უკრაინელი ჟურნალისტები უკვე უკმაყოფილებას გამოთქვამენ. ისინი ნატურალიზებული ამერიკელის ჩამოყვანას ითხოვენ.

ევგენი მურზინი:

– 40 წუთი მაღალ დონეზე სათამაშოდ ჯერ მზად არ ვართ. ახლა დავიწყეთ მზადება და ფორმაში შესასვლელად დრო გვჭირდება. ჰოლანდია და ბელარუსი უკვე სათანადო კონდიციებში არიან, რადგან საკვალიფიკაციო ეტაპს აგვისტოს დასაწყისში იწყებენ. პრობლემა გვქონდა გამთამაშებლის პოზიციაზე.

ნბა-ს თასი საქართველოს ესტუმრება



ყველაზე ტიტულოვანი ქართველი კალათბურთელი და ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის გამარჯვებულის ბეჭდის მფლობელი ზაზა ფაჩულია ნბა-ს თასს საქართველოში ჩამოიტანს და ორშაბათს სპორტის სასახლეში გულშემატკივარს წარუდგენს.

ეს ნბა-ში მიღებული ტრადიციაა – საკალათბურთო ლიგის გამარჯვებული გუნდის წევრებს უფლება აქვთ, ეს თასი რიგრიგობით ჩაიტანონ თავიანთ მშობლიურ კუთხეებში.

ლარი ობრაიენის სახელობის თასმა უკვე მოიარა თითქმის მთელი ამერიკა და კვირის ბოლოს საქართველოსკენ გამოეშურება.

პრეზენტაცია თბილისის სპორტის სასახლეში 7 აგვისტოს, საღამოს 20:00 არის დაგეგმილი. ჯერჯერობით უცნობია ზაზასთან ერთად რომელიმე მისი თანაგუნდელის ჩამოსვლის ინფორმაცია.

ძალამიძე იუვენტუსში გადავიდა, კანკავას თურქეთში ეპატიჟებიან

სათაურმა არ დაგაბნიოთ – ნიკა ძალამიძე იუვენტუსში მართლაც ითამაშებს, ოღონდ – ბუქარესტის. ქართველმა ნახევარმცველმა ერთწლიანი კონტრაქტი (შემდგომი გაგრძელების პერსპექტივით) გააფორმა კლუბთან.

იუვენტუსს რუმინეთის უმაღლეს ლიგაში 3 ტურის შემდეგ ერთი ქულა აქვს.

შეგახსენებთ, რომ ძალამიძემ უცხოური კარიერა პოლონეთში დაიწყო და თავიდან მშვენივრად ირჯებოდა. ჩვენებური ლიდერი იყო ვიძევსა და იაგელონიაში, თუმცა შემდეგ თურქულ რიზესფორში გადავიდა, სადაც თითქმის არ უთამაშია. წლეულს იანვარში ძალამიძე პოლონეთში დაბრუნდა და იქაური ლეჩნას მაისური მოირგო, მაგრამ კლუბმა უმაღლესი ლიგა დატოვა და ძალამიძემაც კლუბის გამოცვლა არჩია.

28 წლის ქართველი ნახევარმცველი ირაკლი მაისურაძე კი უნგრეთის ბალმაზუივაროშში გადავიდა. მან უკვე გააფორმა კონტრაქტი და კლუბშიც წარადგინეს.

ბალმაზუივაროში წლეულს დაწინაურდა უმაღლეს ლიგაში და მაისურაძეს იქ კიდევ ერთი ქართველი ფეხბურთელი დახვდება. ამ გუნდშია ბაჩანა არაბული, რომელმაც უნგრეთის ჩემპიონატის გასულ ტურში გოლი გაიტანა.

ბალმაზუივაროშს 3 ტურის შემდეგ 2 ქულა აქვს.

არადა, მაისურაძემ 2 თვის წინ ბერძნულ პანიონიოსთან გააფორმა ხელშეკრულება...

საქართველოს ნაკრების კაპიტანმა, ჯაბა კანკავამ კი, შესაძლოა, კარიერა თურქეთში გააგრძელოს.

თურქული პრესის ინფორმაციით, რეიმისის ყოფილი ქართველი ნახევარმცველის შეძენით 2 კლუბი, სივასი და გენჩლერი დაინტერესდა.

ცნობისთვის, ორივე თურქული კლუბი 2017-18 წლების სეზონში სუპერლიგაში იასპარეზებს. გასულ სეზონში სივასი თურქეთის პირველი ლიგის გამარჯვებული გახდა და სუპერლიგაში დაწინაურდა, ხოლო გენჩლერი კი 46 ქულით თურქეთის უმაღლეს ლიგაში მე-8 ადგილზე გავიდა.

შეგახსენებთ, რომ ჯაბა კანკავამ გასულ თვეში ფრანგულ რეიმსთან კონტრაქტი გაწყვიტა და ახლა უკლუბოდ არის.

საგა დასრულდა. ნეიმარი თანაგუნდელებს გამოემშვიდობა

ნეიმარის სატრანსფერო საგა დასასრულს უახლოვდება – ფეხბურთელი პარიზში ჩაფრინდება და სამედიცინო შემოწმებას გაივლის, პარი სენ ჟერმენის ფეხბურთელი კი ის შაბათს, 5 აგვისტოს გახდება.

ბარსელონის ვებგვერდზე გამოქვეყნდა სიახლე, რომელიც ადასტურებს, რომ ნეიმარმა კლუბის დატოვების სურვილი გამოთქვა.

სიახლეში, რომელიც გუშინდელ ვარჯიშს ეძღვნება, ვკითხულობთ:

– დილის ვარჯიშის დაწყებამდე ნეიმარმა გვაცნობა, რომ ჩვენს კლუბში თამაშს აღარ აპირებს და, აქედან გამომდინარე, მას ვარჯიშის გაცდენისა და საკუთარ მომავალზე ზრუნვის უფლება მივეცით.

ქალაქ ბარსელონაში კი ნეიმარის გამოსახულებიანი რეკლამების ჩამოხსნა დაიწყეს.

კოლოსალური თანხა, 222 მილიონი ევრო, რომელსაც ფრანგული პარი სენ ჟერმენი იხდის, ახალი მსოფლიო რეკორდია საფეხბურთო სამყაროში.

მოდით, გავიხსენოთ 90-იანი წლების შემდეგ დამყარებული რეკორდები:

1990 წელი: რობერტო ბაჯო – (ფიორენტინა – იუვენტუსი) 8 მილიონი გირვანქა სტერლინგი;

1992 წელი: ჟან პიერ პაპენი – (მარსელი – მილანი) 10 მილიონი;

1992 წელი: ჯანლუკა ვიალი – (სამპდორია – იუვენტუსი) 12 მილიონი;

1992 წელი: ჯან ლუიჯი ლენტინი – (ტორინო – მილანი) 13 მილიონი;

1996 წელი: რონალდო ლუის ნაზარიო – (ეინდჰოვენი – ბარსელონა) 13.2 მილიონი;

1996 წელი: ალან შირერი – (ბლექბერნი – იუვენტუსი) 15 მილიონი;

1997 წელი: რონალდო ლუის ნაზარიო – (ბარსელონა – ინტერი) 19.5 მილიონი;

1998 წელი: დენილსონი – (სან პაულუ – ბეტისი) 21.5 მილიონი;

1999 წელი: კრისტიან ვიერი – (ლაციო – ინტერი) 32.1 მილიონი;

2000 წელი: ერნან კრესპო – (პარმა – ლაციო) 35.5 მილიონი;

2000 წელი: ლუიშ ფიგუ – (ბარსელონა – რეალი) 37 მილიონი;

2001 წელი: ზინედინ ზიდანი – (იუვენტუსი – რეალი) 46.6 მილიონი;

2009 წელი: კრიშტიანო რონალდუ – (მანჩესტერ იუნაიტედი – რეალი) 80 მილიონი;

2013 წელი: გარეტ ბეილი – (ტოტენჰემ ჰოტსპური – რეალი) 86 მილიონი;

2016 წელი: პოლ პოგბა – (იუვენტუსი – მანჩესტერ იუნაიტედი) 89 მილიონი.

18 წლამდე ნაკრების ევროფიასკო გრძელდება

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები აგრძელებს წარუმატებელ სერიას და ევროპის ჩემპიონატის მორიგ მატჩში ისევ დამარცხდა. არჩილ ჟღენტისა და მიხეილ კობეშავიძის განწვრთნილი გუნდი ბულგარელ თანატოლებს შეხვდა და 21 ქულის სხვაობით განადგურდა – 62:83.

ქართველებმა მხოლოდ მე-3 მეოთხედი არ წააგეს, რომელიც ფრედ – 15:15 დაასრულეს. დანარჩენ მეოთხედებში ბულგარელთა უპირატესობა აშკარა იყო.

საქართველოს ნაკრებში 10-ქულიან ზღვარს მხოლოდ 1 მოთამაშე ასცდა – ნიკა ჩეჩელაშვილმა 17 ქულა მოაგროვა.

18-წლამდელთა ნაკრებს 4-დან 4 წაგება აქვს და ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩს უნგრეთის ნაკრებთან გამართავს.

ჯგუფური ეტაპის შემდეგ საქართველო 17-24 ადგილებისთვის ბრძოლაში გადაერთვება. ეს საიმისოდ არის დაგეგმილი, რათა გამოვლინდეს ბ დივიზიონის ბოლოადგილოსანი გუნდი, რომელიც მომავალ წელს ც დივიზიონში დაქვეითდება.

ჩვენების მიზანიც სწორედ დაქვეითებიდან თავის არიდება გახლავთ.

მოამზადა მანეულ ყორეულიანმა

პარიზი და ლოს ანჯელესი ოლიმპიადებს უმასპინძლებენ

ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ 2024 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს პარიზი უმასპინძლებს, 2028 წლის ოლიმპიადა კი ლოს ანჯელესში გაიმართება.

ეს ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც ლოს ანჯელესის მერმა ერიკ გარსეტიმ თანხმობა განაცხადა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ შეთავაზებულ წინადადებაზე.

სექტემბერში ლიმაში გასამართ სოკ-ის სესიაზე, ფორმალურად, კენჭს უყრიან კანდიდატებს და ამის შემდეგ ოფიციალურად გამოცხადდება 2024 და 2028 წლების ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქები – პარიზი და ლოს ანჯელესი.

სოკ-მა უკვე გამოაქვეყნა კონტრაქტის ტექსტი, რომელიც უნდა გააფორმოს 2028 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელ ქალაქთან და შესაბამის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან. ამ კონტრაქტის თანახმად, სოკ-ი თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის სასარგებლოდ თავს მოუყრის დაახლოებით 1,8 მილიარდი დოლარის კონტრიბუციას.

სოკ-ის პრეზიდენტმა თომას ბახმა იმედი გამოთქვა, რომ უახლოეს პერიოდში ხელი მოეწერება სამმხრივ შეთანხმებას (სოკ-ი, პარიზისა და ლოს ანჯელესის საგანაცხადო კომიტეტები), რომელიც მისაღები იქნება ყველა მხარისათვის, ამ შეთანხმების რატიფიკაციას კი მოახდენს სოკ-ის მომავალი სესია.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე თვის ივნისში საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა განაცხადა, რომ მიმდინარე წლის 13 სექტემბერს 131-ე კონფერენციაზე 2024 და 2028 წლების ოლიმპიური თამაშების მასპინძელ ქალაქებს ერთდროულად დაასახელებდნენ, რაც იმას ნიშნავდა, რომ ოლიმპიადის მასპინძლობისთვის მებრძოლი ორივე ქალაქი, პარიზიცა და ლოს ანჯელესიც დაკმაყოფილდებოდა, თუმცა, რომელ წელს რომელი გახდებოდა ოლიმპიადის მასპინძელი, უცნობი იყო.

ექსპერტმა უიშვიათესი წითელი ბრილიანტი 10 მილიონად შეაფასა

ექსპერტ ტობიას კორმინდის შეფასებით, უიშვიათესი წითელი ბრილიანტი 10 მილიონი დოლარი ღირს.

რამდენიმე დღის წინ კომპანია რიო ტინტომ ეს ქვა კოლექციონერების ჯგუფს წარუდგინა. დამუშავებული ბრილიანტის წონა 2,11 კარატს შეადგენს.

გრემ ტომპსონმა, აუქციონის სახლ ბონჰემის წარმომადგენელმა, მისი ღირებულების თაობაზე ზუსტი პროგნოზის გაკეთებისგან თავი შეიკავა. მან აღნიშნა, რომ გადამწყვეტი ფაქტორი იქნება ძვირფასი ქვის წონა და სისუფთავე, ასევე ის ფაქტი, თუ რამდენად წითელი ფერისაა ქვა.

მსოფლიოში ყველაზე დიდი წითელი ბრილიანტი 1990-იან წლებში ბრაზილიაში იპოვეს. მისი წონა 5,11 კარატს შეადგენდა. დღეისთვის ის ერთ-ერთი საიუველირო კომპანიის საკუთრებაა.

რიო ტინტოს ყოველწლიურ ტენდერზე მყიდველებს 58 ძვირფას ქვას შესთავაზებენ, საერთო წონით 49,39 კარატი. კოლექციას აჩვენებენ სინგაპურსა და პერტეში, ხოლო განაცხადების მიღება ოქტომბერში დასრულდება.

ელისაბედ II-ის პაჟი გაიზარდა და სოციალური ქსელები დაიპყრო

ბრიტანეთის დედოფალ ელისაბედ II-ის ნათესავმა არტურ ჩატომ, რომელიც შვილიშვილად ეკუთვნის და მისი ყოფილი პაჟი იყო, სოციალური ქსელები დაიპყრო.

ჩატო ტახტის მემკვიდრეთა რიგში 23-ეა. ის პრინცესა მარგარეტის შვილიშვილია, ლედი სარა ჩატოს შვილი.

მისი ფოტოსურათები რამდენიმე წლის წინ გამოქვეყნდა, მაგრამ მაშინ ჩატო მისი უდიდებულესობის ჭაბუკი პაჟი იყო, ახლა კი სამეფო ოჯახის 18 წლის წარმომადგენელია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მოდელები ლაკი ბლუ სმიტი და სტორმი ბრი მშობლები გახდნენ



მოდელებს ლაკი ბლუ სმიტსა და სტორმი ბრის გოგონა შეეძინათ, რომელსაც გრევიტი ბლუ სმიტი დაარქვეს. 19 წლის სმიტისა და 26 წლის ბრისთვის ის პირველი ბავშვია.

ოჯახში სამმავლო მატების თაობაზე წყვილმა მარტში განაცხადა, მილანში დოლჩე და გაბანას ჩვენებაში მონაწილეობის დასრულებისთანავე. ბრი აქტიურად ყვებოდა საკუთარი ფეხმძიმობის შესახებ სოციალურ ქსელ ინსტაგრამში, საკუთარ გვერდზე.

დღეისათვის სმიტი ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი მანეკენია. ბრი კონკურს „ახალგაზრდა მის აშშ-ის“ ყოფილი გამარჯვებულია.

რიზ უიზერსპუნისა და რაიან ფილიპის ქალიშვილი პიცერიაში მუშაობს

ჰოლივუდის მსახიობების რიზ უიზერსპუნისა და რაიან ფილიპის ქალიშვილი პიცერიაში მოეწყო სამუშაოდ.

გავრცელებული ინფორმაციით, 17 წლის ავა ფილიპი ზაფხულს ლოს ანჯელესის ერთ-ერთ რესტორანში გაატარებს.

გამორიცხული არ არის, რომ ვარსკვლავური წყვილის ქალიშვილმა სამსახური ნაცნობობით იშოვა. პიცერია კენდის და ჩარლზ ნელსონებს ეკუთვნით, რომლებიც უიზერსპუნთან მეგობრობენ. ასევე რესტორნის თანამფლობელია მსახიობი კრის ო'დონელი და მისი მეუღლე კაროლინა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დათუნა მგელაძემ ახალი კლიპი გადაიღო

მომღერალმა დათუნა მგელაძემ, რომელიც პოპულარული სხვადასხვა მუსიკალურ შოუში მონაწილეობით გახდა, ზაფხულის ცხელი დღეები აქტიურად გამოიყენა და ბათუმში ახალი კლიპი გადაიღო.

„ბათუმი“ – ასე ეწოდება სიმღერას, რომელზეც ვიდეორგოლი ინტერნეტში უკვე განთავსდა და მსმენელში დიდი მოწონებით სარგებლობს.

სიმღერის ავტორი ვაჟა ტუღუშია, კლიპის რეჟისორი კი – ირაკლი კიკვაძე. ვიდეორგოლში დათუნასთან ერთად მსახიობი ანო ზურაშვილი მონაწილეობს. ბათუმისადმი მიძღვნილი სიმღერის ვიდეორგოლში შავიზღვისპირეთის ულამაზესი ხედებია გაერთიანებული.

დათუნა მგელაძე:

– მადლობა ყველას, ვინც ამ ვიდეორგოლის გადაღებაში დამეხმარა, ყველაზე დიდი მადლობა კი თქვენ, ჩემს მსმენელებს, რადგან ეს ყველაფერი მარტო თქვენთვის კეთდება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

საერთაშორისო

ჟირინოვსკი ამერიკელებს უკრაინის გაყოფას სთავაზობს

სკანდალურად ცნობილი რუსი პოლიტიკოსი ვლადიმერ ჟირინოვსკი აცხადებს, რომ რუსეთიდან ამერიკელი დიპლომატების გაძევება, აშშ-ის მიერ რუსეთისათვის სანქციების დაწესება, ჩრდილოეთ კორეის გარშემო შექმნილი აჟიოტაჟი ახალი მსოფლიო ომის საფრთხეს ქმნის.

– ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. რუსეთმა და აშშ-მ უნდა მოილაპარაკონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მესამე მსოფლიო ომიც დაიწყება და კაცობრიობაც დაიღუპება, – ამბობს ვლადიმერ ვოლფოვიჩი.

ჟირინოვსკის აზრით, რუსეთ-აშშ-ს შორის კომპრომისი უნდა მოიძებნოს. რუსეთი გაიყვანს სირიიდან ჯარს, სანაცვლოდ ამერიკელებმა უკრაინის ერთიანობისათვის მხარდაჭერა უნდა შეწყვიტონ. ჟირინოვსკი ამერიკელებს უკრაინის გაყოფას სთავაზობს.

– აღმოსავლეთ და სამხრეთ უკრაინა რუსეთია. ეს რეგიონი რუსეთთან დაკავშირებულია ენობრივად, კულტურულად, ეკონომიკურად. შესაბამისად, ის რუსეთს უნდა შეუერთდეს ან შეიქმნას სახელმწიფო, რომელიც რუსეთთან ითანამშრომლებს, – ამბობს ჟირინოვსკი.

ვლადიმერ ვოლფოვიჩის აზრით, უკრაინის დანარჩენ ტერიტორიაზე ანუ კიევსა და ლვოვზე რუსეთს პრეტენზია არ გააჩნია. შესაბამისად, არავინ იქნება წინააღმდეგი, თუკი ეს რეგიონი ევროკავშირში ან ნატოში შევა.

– მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რუსეთ-აშშ-ის ინტერესები კორეაში ერთმანეთს შეეჯახა. მაშინ ყოველივე კორეის გაყოფით დასრულდა. ამით მესამე მსოფლიო ომი თავიდან იქნა აცილებული. ახლა დღის წესრიგში უკრაინის გაყოფა დგას. იმედია, ჩვენი ამერიკელი კოლეგები კეთილგონიერებას გამოიჩენენ და მესამე მსოფლიო ომის გაჩაღებაზე არ წავლენ, – აცხადებს ჟირინოვსკი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ნანა ნადარეიშვილი: მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

ხვიჩა გოგია: კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

მზია დუნდუა: მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ასტროპროგნოზი
3 აგვისტოსთვის

ვერძი – კეთილისმყოფელი დღეა ხანგრძლივი მოგზაურობისა და მივლინებებისათვის. მიღებული ინფორმაცია სიამოვნებას მოგგვრით. **კურო** – თავს შესანიშნავად გრძნობთ. ერიდეთ აგრესიის გამოვლენას გარშემომყოფებისადმი. იყავით უფრო გულისხმიერი და მოსიყვარული. **ტყუპები** – ჯანმრთელობის მდგომარეობა კვლავ არადამაკმაყოფილებელია. სიტუაციის შეფასებისას მეტი სიფხიზლე გმართებთ. **კირჩხიბი** – გეგმების განხორციელებაში გავლენიანი ადამიანები დაგეხმარებიან. ფინანსები იზრდება. **ლომი** – პირად ცხოვრებაში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება მოგიწევთ. ნათესავებთან კონფლიქტს, დროა, ბოლო მოუღოთ. **ქალწული** – სულიერ წონასწორობას ვერაფერი დაგირღვევთ. საყიდლებზე წასასვლელად სავსებით ხელსაყრელი დღეა. **სასწორი** – მოსალოდნელია როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ცვლილებები. იყავით უფრო პრაქტიკული. **ღრიანკალი** – უხასიათოდ ხართ. ეს გადაღლის ბრალია. დროა, დაისვენოთ და გაერთოთ მყუდრო გარემოში. **მშვილდოსანი** – არასტანდარტული და კრეატიული აზროვნება წარმატების მიღწევაში გეხმარებათ. მთავარია, იყოთ უფრო თამამი და აქტიური. **თხის რქა** – გელით კონფლიქტი ხელმძღვანელობასთან. უცნობი ადამიანებისაგან აგრესიას გრძნობთ. ილუზიებს ნუ აჰყვებით. **მერწყული** – დღეს საოჯახო და პირადი პრობლემების მოგვარება მოგიწევთ. ეცადეთ, გარშემომყოფებს მეტი სითბო და სიყვარული აგრძნობინოთ. **თევზები** – ახლობელი ადამიანების შესახებ უსიამოვნო ინფორმაციას მიიღებთ. ეცადეთ, მოვლენები მშვიდად აღიქვათ და საკუთარ თავს ფსიქოლოგიური სამსახური თავადვე გაუწიოთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. ლითონის დაშლა ქიმიური პროცესების ზეგავლენით; 2. პირველი მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში მამაკაცთა შორის; 3. წყალხმელეთა ცხოველი; 5. სახელმწიფო ევროპაში; 7. ერთი სახელმწიფოს ტერიტორია, რომელიც გარშემორტყმულია მეორე სახელმწიფოს ტერიტორიით; 9. ცხენების შემსწავლელი დისციპლინა; 13. იტალიური ვერმუტი; 15. აეროპორტი ვარშავაში; 16. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 18. ჟოკეის წკეპლა.

თარაზულად: 4. პოლონური სამეჯლისო ცეკვა; 6. ჯაშუშის ძველებრძნული სახელწოდება; 8. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე; 10. ძველი სპარსული სალიტერატურო ენა; 11. აუქციონ „კრისტის“ მფლობელი; 12. მოკლემეტრაჟიანი ქართული კინოკომედია; 14. ყველაზე დიდი მდინარე ევროპაში; 17. ცნობილი ქართველი უფოლოგი; 19. ბრიტანეთის ნაწილი; 20. ქართველი შტანგისტი, მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი; 21. ქალის ან ბავშვის დაბალი სასიმღერო ხმა; 22. ტვირთის დროებითი სათავსო საბაჟოზე, ნავსადგურში; 23. ქართული ნაციონალური კერძი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. რევანში; 2. კრკა; 3. ფიატი; 4. ენეიდა; 6. ფაგოციტი; 9. მყვარი; 13. ლახვარი; 14. კაბერნე; 15. აწყური; 17. ვალიო; 18. კინტო; 20. ყაჭი.

თარაზულად: 1. რეკორდი; 5. გრაფი; 7. ჰილტონი; 8. ვაკუუმი; 10. ტანგო; 11. ტოკაი; 12. აკვანი; 16. შამოტი; 17. ვისკი; 19. ხალი; 21. წულაძე; 22. ჯიბუტი; 23. ფინიკი; 24. გელათი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ქუვეითი; 2. ნუვორიში; 3. თრილერი; 5. კოსტიოლი; 7. ჰელიოსი; 9. მიკოლოგია; 13. ბოქსიტი; 15. ეგზოტი; 16. ბოლერო; 18. ლიონი.

თარაზულად: 4. დუმპკარი; 6. უზუნდარა; 8. შემასმენელი; 10. ნაირობი; 11. კურუ; 12. ოსტანი; 14. ჩეიზი; 17. პონტო; 19. აზოტი; 20. შევჩენკო; 21. აუდი; 22. კინოდრომი; 23. რიხტერი.

რეზო გიგინეიშვილის „მძევლებს“ საფრანგეთის კინოთეატრებში აჩვენებენ

3 აგვისტოდან რეჟისორ რეზო გიგინეიშვილის „მძევლებს“ საფრანგეთის კინოთეატრებში აჩვენებენ. აფიშები მონმარტრზე უკვე რამდენიმე დღეა გაკრულია.

„მძევლების“ მსოფლიო პრემიერა ბერლინალეს საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა და მაყურებელსა და კრიტიკოსებში დიდი მოწონება დაიმსახურა. რეზო გიგინეიშვილის ერთ-ერთი ბოლო ფილმი საერთაშორისო კინოფესტივალ „კინოტავრშიც“ მონაწილეობდა, სადაც ორ ნომინაციაში გაიმარჯვა. „კინოტავრმა“ ნომინაციაში „საუკეთესო რეჟისორი“ რეზო გიგინეიშვილი დაასახელა, ნომინაციაში „საუკეთესო ოპერატორული ნამუშევარი“ კი ამ ფილმის ოპერატორი გამარჯვებული ვლადისლავ ოპელიანცი გახდა.

საქართველოს, რუსეთისა და პოლონეთის ერთობლივი ნამუშევრის სცენარი ეფუძნება 1983 წელს რეალურად მომხდარ ამბავს, რომელიც საბჭოთა კავშირიდან ახალგაზრდების ჯგუფის მიერ თვითმფრინავის გატაცებასა და მის შედეგებს აღწერს. სცენარის ისტორიული კონტექსტი საბჭოთა კავშირის ორ პერიოდს მოიცავს, 1983 წელს, როცა ქვეყანას კლასიკური საბჭოთა ტრადიციების მიხედვით მართავს კომუნისტური პარტია და 1990 წელს, როცა საბჭოთა კავშირში უკვე რამდენიმე წელია დაწყებულია ე.წ. გარდაქმნა, საკავშირო რესპუბლიკების უმეტეს ნაწილში, მათ შორის, საქართველოშიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობაა და საბჭოთა კავშირიც თავისი დასასრულისკენ მიდის. „რკინის ფარდა“ მყარად არის დაშვებული.

ფილმის გმირებს სწორედ ამ ვითარებაში უჩნდებათ სურვილი, რომ გაიქცნენ სსრკ-დან დასავლეთში, სადაც ჩვეულებრივი გზით მოხვედრა მათთვის ფაქტობრივად შეუძლებელია, რადგან საზღვრები ჩაკეტილია. ეს ამბავი ინფანტილურ და თავდაჯერებულ ახალგაზრდებზეა, რომლებიც დასავლეთში, კერძოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში ოცნებობენ წასვლას, რომელთაც უბრალოდ კარგი ცხოვრება უნდათ თავისუფალ და მიმზიდველ გარემოში. ცხადია, ყველას თავისი წარმოდგენა აქვს „კარგ“ ცხოვრებაზე, მაგრამ მთავარზე ყველა თანხმდება: სსრკ-ში მათ აღარ შეუძლიათ ცხოვრება. წასვლის გზად ისინი თვითმფრინავის გატაცებას ირჩევენ, რომლითაც თურქეთში მოახერხებენ გადასვლას, ბათუმიდან თურქეთის საზღვრამდე მხოლოდ რამდენიმე კილომეტრია. თუმცა გეგმა თბილისიდან აფრენის შემდეგ იშლება, როცა გამტაცებლები ვერ მოახერხებენ გეგმის განხორციელებას. შესაბამისად, ზოგი თვითმფრინავშივე იხოცება, ზოგსაც, გადარჩენილებს, რამდენიმე თვეში საბჭოთა სასამართლო გამოუტანს სასიკვდილო განაჩენს.

რეზო გიგინეიშვილის ფილმი ცდილობს არა პასუხების გაცემას იმ შეკითხვებზე, რომელიც თაობებს აწუხებს ამ ცნობილ ამბივალენტურ ისტორიასთან დაკავშირებით, არამედ მოვლენების აღწერას ობიექტური პოზიციიდან. სცენარი დაფუძნებულია დაკითხვების ოქმებზე და ინტერვიუებზე, რომელიც, ერთი მხრივ, შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში, მეორე მხრივ, დაღუპულთა ოჯახებში იქნა მოპოვებული. ეს არის ამბავი მშობლებზე, რომელთაც არაფერი იცოდნენ, რას აპირებდნენ მათი შვილები და რომელთაც ერთ დღეში, 1983 წლის 18 ნოემბერს საბედისწეროდ შეეცვალათ ცხოვრება.

„მძევლები“ ქართულ-რუსულ-პოლონური კოპროდუქციაა. ეს არის პირველი ოფიციალური პროდუქტი, რომელსაც ერთობლივად აფინანსებენ პოლონეთისა და საქართველოს ეროვნული კინოცენტრები. პროექტის პოლონელი კოპროდუსერია ოსკაროსანი ფილმის „იდა“, მთავარი პროდიუსერი – ევა პუშინსკა. „მძევლები“, როგორც პროექტი, მონაწილეობდა ბერლინალეს ოფიციალურ თანაწარმოების პლატფორმაზე, შერჩეული იყო სარაევოს კინოფესტივალის თანაწარმოების პლატფორმაზე, სადაც მოიგო ერთ-ერთი ყველაზე სასურველი პრიზი ფილმის დასასრულებლად.

ფილმისთვის სცენარი ლაშა ბუღაძესთან ერთად რეზო გიგინეიშვილმაც დაწერა. „მძევლებში“ გია ყანჩელის მუსიკა ჟღერს. ფილმში მონაწილეობენ თინა დალაქიშვილი, ირაკლი კვირიკაძე, გიგა დათიაშვილი, გიორგი გრძელიძე, გიორგი ტაბიძე, გიორგი ხურცილავა, ვახტანგ ჩაჩანიძე, ეკატერინე კალატოზიშვილი, დარეჯან ხარშილაძე, მერაბ ნინიძე, ავთანდილ მახარაძე და მიშა გომიაშვილი.

თამაზ ორაშვილი: „ნუ გააბოსლებთ ამ უნიკალურ საკონცერტო დარბაზს!“

პროდიუსერი თამაზ ორაშვილი მთავრობის მიერ ბლექ სი არენასთვის ტრეველ ინ ჯორჯიას მიერ 12 მილიონის გადარიცხვას სოციალურ ქსელში აპროტესტებს და მოუწოდებს ხელისუფლებას, ამ სფეროში უცოდინრები საქმიანობას მოაშორონ.

თამაზ ორაშვილი:

– ბატონებო, ნუ გააბოსლებთ ამ უნიკალურ საკონცერტო დარბაზს!!!

აი, კიდევ ერთი მარგალიტი... 12 მილიონი ლარის გადარიცხვა დაევალა... მოკლედ, იმის თქმა მინდა... თუ არ გაქვთ თავი, თავი გაართვათ ნაკისრ ვალდებულებას, მაშინ თავი არ უნდა დაივალდებულოთ... ხომ ხედავთ, არ იცით ეგ საქმე და რატომ ჰკიდებთ ხელს... ან თუ ჰკიდებთ, მაშინ მოიწვიეთ პროფები...

ხომ ხვდებით, ყველაზე მაგარ პროექტს აბანძებთ... ეკონომიკის სამინისტროს რა უნდა შოუბიზნესში? პიროვნულად არც არაფერს ვერჩი ბლექ სი არენას ამჟამინდელ დირექტორს, მაგრამ რატომ ნიშნავთ მაგ სფეროში უცოდინარს? მერე აკრიფავს? მანამდე არ აგიდგათ გვერდები, ის რომ ამ სფეროს დაეწევა...

ხომ ჰყავდა ბლექ სი არენას მოვალეობის შემსრულებელი დირექტორი... არ ვიცნობ, მაგრამ ვიცი, რომ ძალიან კარგად ართმევდა თავს...

ახლა კი რა გამოდის, იყიდება 200 ბილეთი, დანარჩენს მოსახლეობას ურიგებთ... ეს ხომ კატასტროფაა... ძლივს მიეჩვია ხალხი ბილეთების ყიდვას, თქვენ კი ანიავებთ ბიუჯეტის თანხებს...

დაე, ვისაც რა ბილეთი გაეყიდება, ის დარბაზი დახვდეს. რა არის ამაში ცუდი? დაფიქრდით და სწრაფად მიიღეთ გადაწყვეტილება.

ლეილა აბაშიძე 88 წლის გახდა

ქართული კინოს ერთ-ერთი ვარსკვლავი ლეილა აბაშიძე 88 წლის გახდა. როგორც იუბილარმა ჟურნალისტებს განუცხადა, 88 წელი საკმაოდ ბევრი ყოფილა, თუმცა, ასაკის მიუხედავად, მსახიობი კვლავ თავის საყვარელ პროფესიაზე ფიქრობს და არ კარგავს იმედს, რომ კიდევ შეძლებს ფილმებში მონაწილეობას.

თავის განვლილ ცხოვრებას იუბილარი მსახიობი რამდენიმე უმნიშვნელოვანეს ეტაპად ყოფს:

– მამა, რომელიც რუსეთში ერთ-ერთ მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა, 1937 წლის რეპრესიების მსხვერპლი გახდა და გადაასახლეს. დედა, იმისათვის, რომ მეუღლესთან ახლოს ყოფილიყო და ენახა, მედმუშაკად წავიდა ციმბირში და თან წამიყვანა. მე და დედამ რეპრესირებული ოჯახის წევრი მხოლოდ ციხის გისოსებს მიღმა ვნახეთ, ახლოს მისვლა არ შეიძლებოდა, გვეკრძალებოდა და მხოლოდ შორიდან ვესალმებოდით ერთმანეთს. იყო გახლართული მავთულები, სადაც 220 ვოლტი დენი გადიოდა, ვერ მიეკარებოდი, იქვე დედამ ერთი ადგილი იცოდა, დადგებოდა და შორიდან შეუმჩნევლად დაუქნევდა ხელს მამას, ისიც ჩუმად მიესალმებოდა. მე პატარა ვიყავი, დავიმახსოვრე ის ადგილი, გავძვრებოდი-გამოვძვრებოდი ყოველდღე, მივიდოდი იქ, ხან სიგარეტს გადავუგდებდი მამას, ის გამომხედავდა ასე მადლიანი თვალებით და მხოლოდ ეს იყო ჩვენი შეხვედრები. მამამ, რომელიც ბუნებით ხელოვნების მოყვარული კაცი იყო, მოიფიქრა კონცერტი ტუსაღებისათვის. ციხეში პატიმრებისათვის გამართულ კონცერტზე გამოვდიოდი და მთელი შთაგონებით ვკითხულობდი ლექსს. ისე განვიცდიდი სიტუაციას, რაც ჩვენ გარშემო იყო, რომ მთელ განცდებს ვაქსოვდი ამ ლექსში, იქ ბევრი ქართველი იყო, რა თქმა უნდა, რომლებიც თურმე მოუთმენლად ელოდნენ ჩემს გამოჩენას, ტაშით მხვდებოდნენ და იმ პერიოდში ჩემი და მამას პორტრეტთან ერთად ერთ-ერთ გაზეთში დაიბეჭდა სტატია. ეს იყო პირველი რეცენზია, რომლითაც მე მაღიარა მაყურებელმა.

ძალიან დიდხანს არ ვიცოდით, რა ბედი ეწია რეპრესირებულ მამას. მხოლოდ წლების შემდეგ მივიღეთ დახვრეტის ოქმი, დედას გამოუცხადეს, რომ მისი მეუღლე დახვრიტეს. ოქმში წერია, დახვრეტის წინ რომ გაჰყავდათ მამა, ოჯახის წევრების ჩამონათვალია და მოხსენიებულია ახლადდაბადებული ვაჟი და არის ზედ მამას ბოლო ხელმოწერა სიკვდილის წინ. პატარა ვიყავი და დროებით ინტერნატში მიმაბარეს, ციმბირშივე გაჩნდა ჩემი მესამე ძმაც. იქ დარჩენას აზრი აღარ ჰქონდა და დედა იძულებული გახდა, შვილებთან ერთად საქართველოში დაბრუნებულიყო.

პირველად ეკრანზე გამოვჩნდი 1941 წლის ფილმში „ქაჯანა“, სადაც კატოს როლს ვასრულებდი და პარტნიორობას ვუწევდი ნატო ვაჩნაძეს. ვიყავი 8 წლის, ქართული არ ვიცოდი, რადგან დაწყებითი განათლება რუსეთში მქონდა მიღებული და ახალი ჩამოსული ვიყავი საქართველოში ციმბირიდან. ჩემი მამიდა სიხარულით მეუბნებოდა, რომ გაზეთში განცხადება ნახა, ფილმისათვის სჭირდებოდათ ცელქი, ანცი გოგონა და მაგ დროს მეც ძალიან ცელქი ბავშვი ვიყავი, ჩემთვის არც უკითხავთ, თუ მსურდა გადაღება, მაგრამ აზრიც არ ჰქონდა, რადგან მე ფილმი ნანახი არ მქონდა, რა იყო კინო, საერთოდ არ ვიცოდი. მიმიყვანეს სინჯებზე უშნოდ გაკრეჭილი, ჩაუცმელი, სასაცილო ბავშვი. შევედი ოთახში და როცა დავინახე ოცი-ოდე გოგონა ერთმანეთზე უკეთესი კულულებით, ბაფთებით, ვიგრძენი, რომ ზედმეტი ვიყავი და სადღაც კედელთან გავჩერდი, ვიცოდი, რომ არ გამოვდგებოდი ამ საქმეში. მოვიდა ასისტენტი და მითხრა: გოგონა, თქვენ თავისუფალი ხართ, წაბრძანდითო. ძველ სტუდიაში ერთი რკინის რიკულებიანი კიბეა, იმას მოვაჯექი ბიჭურად და ბზრიალით დავეშვი ზემოდან, ვღიღინებ რაღაცას და დავეჯახე ვიღაც კაცს. მას გაუკვირდა და მკითხა: გოგონა, საიდან მოდიხარო? მე ვუპასუხე, ზემოდან-მეთქი. იქ რა გინდოდაო? ვუთხარი, რომ კინოში გადაღება მინდოდა, მაგრამ არ მოვეწონე და წამოვედი. ძალიან გინდა კინოში თამაშიო? ვუპასუხე ძალიან, ძალიან-მეთქი! და, ეტყობა, იმდენი სურვილი ჩავაყოლე ამ ორ სიტყვაში, რომ მას გაეცინა, მომკიდა ხელი, მითხრა, ჩემთან წამოდიო და თურმე ეს იყო თავად ფილმის დამდგმელი რეჟისორი კონსტანტინე პიპინაშვილი, შემეკითხა:

– და ან ძმა გყავს? მე ვუთხარი, რომ ორი ძმა მყავდა.

– ძალიან ცუდი ამბავი უნდა გითხრა, შენი ძმა დამუნჯდა.

– რომელი? – ვიკითხე მე თურმე ისეთი ტრაგიკული ხმით.

– უფროსი, – მამიდამ უკარნახა და მე წავიშინე თავში ხელი, ვეღარ გამაჩერეს, ვტიროდი, ცრემლები ღაპაღუპით მომდიოდა, ბოლოს და ბოლოს, დამაწყნარეს და თურმე ეს იყო სინჯები. ასე დამამტკიცეს როლზე.

ახალგაზრდობაში არ ვამჩნევდი, რომ ჩემი შურდათ. მეგონა, ყველას უხაროდა ჩემი წარმატება. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ ყოფილა, ბევრმა, ვინც მოკეთე მეგონა, მიმტრო, გზა გადამიღობა... ჩვენი სიცოცხლე ხანმოკლე გასეირნებაა მარადიული ძილის წინ. მე არ მესმის იმ ადამიანების, რომლებიც არ აფასებენ სიცოცხლის ყოველ წუთს... მე საკმაოდ მძიმე ცხოვრება გამოვიარე და მუდამ დაუოკებელი სურვილი მქონდა, ბედნიერი ვყოფილიყავი. ეს წყურვილი დღესაც მკლავს...

როცა კინოთეატრ „რუსთაველის“ წინ ჩემი ვარსკვლავი გახსნეს, იმ დღეს მეორედ დავიბადე. ადრე თუ გვიან, აღარ ვიქნები ამ ქვეყანაზე და ეს ვარსკვლავი კი, სადაც ჩემი სახელი და გვარია ამოტვიფრული, მუდამ იარსებებს. თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, ეს რამხელა პატივია ჩემთვის, მით უმეტეს, რომ ჩემი ვარსკვლავი დიდებული, გენიალური ქართველი მსახიობი ქალის, ნატო ვაჩნაძის, ვარსკვლავის გვერდით გაიხსნა. დიდი მადლობა, უპირველეს ყოვლისა, ქართველ ერს, ჩემს მაყურებელს, დიდი მადლობა ყველა იმ რეჟისორს, რომლებსაც ამ ვარსკვლავის გახსნაში წვლილი მიუძღვით, რადგან მათ ფილმებში მათამაშეს. მე ამას აღვიქვამ, როგორც უდიდეს ჯილდოს. ამ ბედნიერ დღეს ღმერთს ვთხოვ, რომ გენიალური ქართული კინო ისევ აღორძინდეს და უფრო მეტი ბრწყინვალებით წარდგეს მაყურებლის წინაშე. ჩემთვის ერთი ვარსკვლავი ცოტაა. მე მინდა, საქართველო ვარსკვლავების ქვეყნად იქცეს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

ნოდარ ჩიბალაშვილი და მიხეილ ქავთარია იუწყებიან მეგობრის, უმაღლესი კატეგორიის კინოოპერატორის, ფილმების „ქორწილისა“ და „ქოლგის“ და სხვა მრავალი ფილმის დამდგმელი ოპერატორის

ღუღუ (ნიკოლოზ) სუხიშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მწუხარებაში ლია სუხიშვილის ოჯახს ბიძის გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

პროგრამა

ხუთშაბათი 3 აგვისტო

06.30 დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **07.30** "ნამდვილი დრო" **08.00** "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **09.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. "**წინ" წარმატებისკენ" 10.10, 03.00** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ჩანტრო ვეტერინე" 12.30** "საუკუნის პორტრეტები" **13.10, 03.30** დღის მხ/ფ "**ომი და მშვიდობა**" (ჰ.ფონდა) **15.00, 05.20** დოკ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" **16.15** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **17.00** ტ/სერ. "**ოფისი" 18.30** "ტელებლოგი" **19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო" 20.40** "სპორტის დაფა" **21.00** ტ/სერ. "**ცხენური მოახლეები" 22.00** ტ/სერ. "**მოსავრობა" 23.00** მხ/ფ "**ჭეშმარიტი ფასეულობა**" (რ.ზელვეგერი) **01.10** მხ/ფ "**საიდუმლოს ბასალები**" (კ.ჰადსონი)

ტექნიკური მიზეზების გამო არხის პროგრამას ვერ ქთავაზობთ.

08.00, 14.40 სერ. "**ელიფი" 09.20** სერ. "**პაპარაძალი" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.45** ქრონიკა **11.20** სერ. "**ფიცი" 12.30** სერ. "**ლირსების სახელით" 17.35** სერ. "**ხაფანგი" 18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება 21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**ძმა" 22.30** სერ. "**ვიკინგები 3" 4** სერ. **23.30** მხ/ფ "**ჯგუფი 7" 01.00** მხ/ფ "**შვიდი ფსიქოპათი" 03.00** მხ/ფ "**იმპტაციის თამაში" 04.50** მხ/ფ "**სამოთხის პროექტი" 06.20** მხ/ფ "**ფორესტ გამპი**"

05.30, 18.45 სერ. "**კაცი" 06.30, 20.03** სერ. "**დესპოტი ქმარი" 07.30** მხ/ფ **09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **09.10** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა" 10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი" 12.30** სერ. "**ვარსკვლავის დაბადება" 13.55** სერ. "**ფერიპას საიდუმლო" 15.30** სერ. "**წარსულის ჩრდილი" 16.55** სერ. "**დაკარგული წლები" 22.00** კომედის კონცერტი - **2014** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**"

08.00 ან/ფ "**ატომი" 09.00** სერ. "**ომონკი 3" 2-3-4** სერ. **12.00, 21.00** სერ. "**კრიმინალური რომანი" 2-3** სერ. **13.00** მხ/ფ "**ცხოვრების გემო" 15.00** სერ. "**ანტიმაფია 8" 17.00** სერ. "**ინტერესის ობიექტი 4" 19.00** სერ. "**გრეის ანატომია 12" 22.30** მხ/ფ "**პერლ პარბორი" 01.40** მხ/ფ "**პოსეიდონი" 03.25** მხ/ფ "**მე ვარ ნომერი ოთხი" 05.25** მხ/ფ "**ედ ვუდი**"

08.00 ანნდა **08.15** მულტფილმი **08.30** სერ. "**ღმერთების ხელდასხმული**" " **09.20** მულტ/სერ. "დინოფროზი" **09.50** სერ. "**სიყვარულსა და ვიშს შორის" 10.40, 13.40, 14.40, 17.40, 21.20, 22.25** ტელემარკეტი **11.00, 14.00, 17.00, 17.55, 19.00, 23.30** ახალი ამბები **11.30** სერ. "**უდიდესი გეოგრაფიული აღმოჩენები**" ჯეიმს კუკი **შშ** ნაწ. **12.00** მოდი გავიყაროთ **12.55** სერ. " **პირადი საქმე" 15.00** სერ. "**ბანდოლერა" 16.05** სერ. "**ფოილის ომი" 18.00** სერ. "**ზიანი" 19.55** მე რომ ვიყო **20.00, 02.20** პრიორიტეტი **21.30** რატის ბლოგი **22.00** სინემანი **22.35** სერ. "**სიყვარულსა და ვიშს შორის" 0.00** მხ/ფ "**დაუმარცხებელი" 1.30** მოდი გავიყაროთ **03.20** სერ. "**რაუ**"

06.00 შვიდგზის ლოცვა **06.05** საეკლესიო კალენდარი **06.15** ქრისტიანული სწავლება **06.25** მუს. პაუზა **06.40** პატერიკი-ღირსი მამა გრიგოლ ხანცდელის სასწაულმოქმედება **06.45** აქტუალური თემა "აღსარებისა და ზიარების საიდუმლო" **07.25** ქართული ალბომი **07.50** სამყაროს შექმნა **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი"-კოლაჟი **10.10** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან "ბლუმენბახი" **10.40** საღვთისმეტყველო საუბრები **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**რაც ბინახავს ველარ ნახავ" 14.00** "შუადღის სტუმარი"-მღვდელი იაკობ ჩიჩილიძე სექტების შესახებ-"ბაპტისტები" **14.20** "შუადღის სტუმარი" ვაჟა გოცირიძე-ქართული ვაზის გენოფონდი **14.40** გამოყენებითი ხელოვნება "მეფეთა ფუფუნება მარიონეტები" **15.05** ქართული ან/ფ **15.25** ტრაპეზი "ბულგარული წინაკა შიგთავსით, ბადრიჯანი და სოკო" **15.35** დ/ფ "ჩემი პატრიარქი" **16.00** კონცერტი **16.55** ქრისტიანული ხელოვნება "წმინდა ნინოს ცხოვრების ახალი რედაქციის შესახებ" **17.30** ჩვენი ფონდი **18.10** ერთხელ ბავშვობაში "ომარ მხეიძე" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00** "განთიადის"-სიუჟეტი-"პური" **19.20** მხ/ფ "**შეხვედრა მთავარი**" **20.40** ძილი ნებისა "დედებს შვილები იესოსთან მიჰყავთ" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.15** ზღვარზე-"დედა თავის შვილზე" **21.40** წმინდანები "ღირსი მამა დიდო გარეჯელი" **22.00** სად უჩინარდებიან ჩემპიონები "ვაჟი გვანცელაძე" **22.20** ჩვენი საგანძური "ალავერდის ოთხთავი" **22.40** "კვირიაკეს" სიუჟეტი "მღვდელ-მოწამე სვიმონ მჭედლიძე" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკ. მხ/ფ "**სერენადა**" **23.45** ივერიის ეკლესია **00.30** დ/ფ "ნაძარცვის კვალდაკვალ" **01.30** კონცერტი

08.00 - 03.00 ახალი ამბები (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.15 - 02.15** სპორტი (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.30- 02.30** ახალი ამბები მსოფლიო (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.00, 10.00, 13.00, 19.00, 23.00, 01.00** ბიზნესი **21.00** მთავარი გამოშვება

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

3 აგვისტოსთვის

აშშ დოლარი — 2.3952

ევრო — 2.8285

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1655

100 რუსული რუბლი — 3.9838

ამინდის პროგნოზი 3 აგვისტოსთვის



1 აგვისტოდან

ქართული დეტექტივი მე-15 ტომი

მაია ბურჭულაძე

უფასო ბილეთი წარსულში

ორშაბათის სიზმარი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

20 ივლისიდან

შიო გვეტაძე

მონანიება

ქართული დეტექტივი მე-14 ტომი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

ანეკდოტი

...

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რაში მდგომარეობს ილუზიონისტების საიდუმლოება?

– იმაში, რომ საკუთარი საიდუმლოებების შენახვა შეუძლიათ.

...

ბიჭი გოგოს ეუბნება:

– გოგონი, მე შემიძლია, სიყვარულის ხელოვნება გასწავლოთ...

– და ჩემს სწავლაზე რამდენის დახარჯვას აპირებთ?

...

სკოლიდან სახლში დაბრუნებულ გიგის მამა ეკითხება:

– აბა, როგორ არის საქმე?

– მასწავლებელმა მითხრა, რომ მათემატიკის საერთოდ არაფერი გამეგება და ჟურნალში რაღაც ციფრი დამიწერა.

...

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რა დაგემართა, სახე რას გიგავს?

– გუშინ ერთ დიდმკერდიან გოგონასთან მომივიდა ჩხუბი.

– ეგ როგორ?

– ლიფტში ერთად შევედით, მე უნებურად მის მკერდს მივაშტერდი, ის კი მოულოდნელად მეკითხება: „ყმაწვილო, იქნებ, ბოლოს და ბოლოს, თითი დააჭიროთ?

– მერე?

– მერე, მეც ავდექი და დავაჭირე...

...

მამაკაცი ფსიქიატრს ეუბნება:

– ექიმო, ყველაფერი ცუდადაა: ჯანმრთელობა არ მაქვს, ფული არ მაქვს, არავის ვუყვარვარ.

– ნუ გეშინიათ, მაგას ახლავე ვუშველით. აი, აქ მოხერხებულად მოეწყვეთ, თვალები დახუჭეთ და ჩემთან ერთად გაიმეორეთ: „ყველაფერი კარგადაა, ჯანმრთელად ვარ, მდიდარი და უზრუნველყოფილი ვარ, მიყვარს და ვუყვარვარ“.

კაცმა თვალები გაახილა და ეუბნება:

– მახარებს თქვენი მდგომარეობა, ექიმო, ჩემთან კი ყველაფერი ცუდადაა, ჯანმრთელობა აღარ მივარგა, ფული არ მაქვს...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.

13 ივლისიდან



ლაშა იმედაშვილი

სამი მკვლელობა ძველ თბილისში

ქართული დეტექტივი ტომი 13

პატრიარქის ზაფხული

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

ლეონარდო დი კაპრიო და ტობი მაგუაირი საფრანგეთში იახტაზე შენიშნეს

ჰოლივუდის მსახიობები და მეგობრები ლეონარდო დი კაპრიო და ტობი მაგუაირი საფრანგეთში იახტაზე ერთად შენიშნეს.

კურორტ სენ-ტროპეზე საქველმოქმედო აუქციონი მიმდინარეობდა, რომელიც დი კაპრიოს ფონდის მიერ იყო ორგანიზებული. მისი ერთ-ერთი სტუმარი იყო მაგუაირი. აუქციონის შემოსავალმა 30 მილიონი დოლარი შეადგინა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ნინა აგდალთან დაშორების შემდეგ დი კაპრიო სულ უფრო მეტ დროს ატარებს მეგობრების გარემოცვაში. მაგალითად, ივნისში მასმედიამ გაავრცელა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მსახიობი მაგუაირთან და ორლანდო ბლუმთან ერთად ატარებდა დროს.

კარა დელევინმა თავისი პირველი მუსიკალური კლიპი ჩაწერა

მოდელმა და მსახიობმა კარა დელევინმა თავისი პირველი მუსიკალური კლიპი გამოუშვა, რომლის ნახვა იუთუბიზეა შესაძლებელი.



სიმღერას ჰქვია „I Feel EveryThing“. ის ჩაიწერა ლუკ ბესონის ფილმისთვის „ვალერიანი და ათასი პლანეტის ქალაქი“, რომელშიც დელევინმა ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულა.

სიმღერის ტექსტი თავად მოდელმა და მსახიობმა დაწერა, ხოლო მუსიკის ავტორი და პროდიუსერია ფარელ უილიამსი.

მელ გიბსონი მალიბუში სახლს ყიდის

მსახიობი და რეჟისორი მელ გიბსონი მალიბუში სახლს 17,5 მილიონ დოლარად ყიდის. კინემატოგრაფისტმა ეს სახლი 2008 წელს 11,5 მილიონ დოლარად შეიძინა მსახიობების დევიდ დუხოვნისა და თეა ლეონისგან (ისინი იმ დროისთვის შეუღლებულები იყვნენ).

სახლის ფართობი, რომელშიც ხუთი საძინებელია, 600 კვადრატულ მეტრს აღემატება. ნაკვეთზე ასევე განთავსებულია სახლი სტუმრებისთვის, სპორტული დარბაზი და აუზები. 2017 წლის თებერვალში გიბსონმა შერმან-ოუკსში საკუთარი სახლი 2,1 მილიონ დოლარად გაყიდა, ხოლო 2012 წელს სახლი მალიბუში – 10 მილიონ დოლარად.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ფილმ „კასაბლანკას“ პლაკატი 500 ათას დოლარად გაიყიდა

ჰოლივუდის ფილმ „კასაბლანკას“ პლაკატი დალასში გამართულ აუქციონზე თითქმის 500 ათას დოლარად გაიყიდა. სავარაუდოდ, ის ერთადერთი შემონახული იტალიური პოსტერია.

პლაკატი 1946 წელს იქნა გამოშვებული, „კასაბლანკას“ პრემიერიდან ოთხი წლის შემდეგ. პოსტერის ზომებია – 1,4 მეტრი 2 მეტრზე. ადრე ის ლონდონელ კოლექციონერს ეკუთვნოდა. მისმა ახალმა მფლობელმა ინკოგნიტოდ დარჩენა ამჯობინა.

აუქციონის სახლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ პლაკატმა გაიმეორა რეკორდული თანხა, რომელიც 2014 წელს ფილმ „ლონდონი შუა ღამის შემდეგ“ პოსტერში იქნა გადახდილი.

აღსანიშნავია, რომ „კასაბლანკა“ მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ცნობილი სურათია. მასში მთავარი როლები შეასრულეს ჰამფრი ბოგარტმა და ინგრიდ ბერგმანმა. ფილმმა „ოსკარის“ სამი პრემია მიიღო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოიდი 2



შვეულად: 1. კლიენტებისთვის ღვინის შემრჩევი მაღალი კლასის რესტორნებში; 2. ქართული სპორტული გაზეთი; 3. მუსიკალური წამყვანი დისკოთეკაზე; 4. „ფორმულა-1“-ში მონაწილე გერმანელი ავტომრბოლელი; 6. მსხლის ქართული ჯიში; 9. ქალაქი, ტბა, კანტონი შვეიცარიაში; 13. პენიცილინის აღმომჩენი ფრანგი ექიმი; 14. კომპიუტერული თამაშების მოყვარული ადამიანი; 15. მოკლემეტრაჟიანი კინოფილმების ფესტივალი საქართველოში; 17. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 18. ბაღბოსტნის ძველი ქართული სახელწოდება; 20. რბილსაჯდომიანი ტაბურეტი.

თარაზულად: 1. მოხარშული და გადაზელილი ქართული ყველი; 5. ვირტუოზი ქართველი ფეხბურთელი; 7. ნახევარკუნძული ევროპაში; 8. საგნის ნატურალური ზომის მოდელი; 10. სატანვარჯიშო სპორტული იარაღი; 11. ქართველი კინორეჟისორი, მსახიობი მამაკაცი; 12. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალში; 16. ბრიტანული ყველი; 17. მაღალყელიანი ფეხსაცმელი; 19. მწვერვალი კავკასიონზე; 21. ლუდის მწარმოებელი ირლანდიური ფირმა; 22. სასწრაფო სამუშაო გემზე მთელი ეკიპაჟის მონაწილეობით; 23. ტროპიკული პალმის ნაყოფი; 24. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა